ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

ორშაბათი, 7 ნოემბერი, 2022 №219 (8997) ფასი: 80 თეთრი

## საფრანგეთში დააკავეს ქართველები, რომლებმაც 65 შეკვრა კბილის ჯაგრისი მოიპარეს



გვ.5



## დეტალურად აღწერდა, როგორ მოკლა ჯერ მამა, მერე დედა...

მშობლების მკვლელობაში ბრალდებულის ჩვენება

# „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ თავისი მომხრეები დაასაქმა. მასობრივი მიგრაციაა. ქვეყანა კატასტროფისკენ მიდის!“



„მივდივართ ფეოდალური სახელმწიფოსკენ. უფრო ზუსტად, ფეოდალური სახელმწიფო უკვე ვართ და ახლა ამის გამყარებისკენ მივდივართ ძალიან დიდი ნაბიჯებით. აქ ოპოზიციას არანაკლები წვლილი აქვს, ვიდრე თავად ივანიშვილსა და ხელისუფლებას“

გვ.2



## ნინო ბურჯანაძე: „ოპოზიციური პარტიების ნაწილს პირადი პარტიული ამბიციები ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში ხელს უშლის“

## „ოპოზიციის ერთიანობის გარეშე არაფერი გამოვა“

გვ.3



გედევან ფოფხაძე: „თუ ოპოზიცია გაერთიანდება და მართლაც წავა ჯანსაღი პროცესი, მაშინ პარლამენტის დატოვება-არდატოვების საკითხი მეორეხარისხოვანი იქნება“

გვ.2



## „ნაციონალურ მოძრაობაში ხრწნის პროცესი მიმდინარეობს“

ანზორ აბრალავა: „ნიკა გვარამიას ციხეში ყოფნა ნამდვილად არ მინდა“

## „ვითხოვთ, 28 ოქტომბერი პარლამენტარიზმის დღედ გამოცხადდეს“



თენგიზ დიხამინჯია: გვ.3

„უზენაესი საბჭოს დეპუტატებს გვინდა, საზოგადოებას იდეის დონეზე მივაწოდოთ კრიზისიდან გამოყვანის გეგმა“

რა შედეგით დასრულდა ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტები



## „საქართველო არის რეგიონული და გლობალური თანამშრომლობის გასაღები“

გვ.4

1993230720223

5 „ჩაუდეს ნარკოტიკი“ — ოკუპირებულ აფხაზეთში ქალი ქართული დროშის ტარებისთვის დააკავეს

6 ტანზანიაში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა

5 პროკურატურამ ნარკოდანაშაულისთვის 25 პირს, მათ შორის 18 ნარკორეალიზატორს ბრალი წარუდგინა

6 კიევის მერი მოსახლეობას მოუწოდებს, უარესისთვის მოემზადონ

# „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ თავისი მომხრეები დაასაქმა. მასობრივი მიგრაციაა. ქვეყანა კატასტროფისკენ მიდის!“

## ნინო ბურჯანაძე: „ოპოზიციური პარტიების ნაწილს პირადი პარტიული ამბიციები ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში ხელს უშლის“

ნონა ცაბაძე

**„ახალი თაობის“ კითხვებს პარტია „ერთიანი საქართველო — დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერი ნინო ბურჯანაძე პასუხობს.**

***– ქალბატონო ნინო, ვისმენთ შეფასებებს, რომ ასეთი უძრაობის ხანა, ახლა რომ დგას პოლიტიკაში, არ ყოფილა არასდროს. რა სჭირს ოპოზიციას? თითქოს ბოლო დღეებია, დაიწყეს გაერთიანებაზე საუბარი, პრაიმერისზე, ჩრდილოვან კაბინეტებზე და ასე შემდეგ. გამოვა აქედან რამე?***

– კი, გაერთიანებაზე ყველა ლაპარაკობს, მაგრამ, ჩემი აზრით, არასწორი აქცენტებით ხდება ამ გაერთიანებაზე ლაპარაკი, თუნდაც იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ რაღაცნაირად ოპოზიციის გარკვეული ნაწილი თითქოსდა მოწყვეტილია იმ რეალობას, რომელიც ახლა ქვეყანაშია. მე არ მესმის, უბრალოდ, რა პრაიმერისზე ვლაპარაკობთ, როდესაც ის ვითარებაა, რომელიც ახლაა. ახლა ლაპარაკი პრემიერმინისტრობის, მინისტრობის კანდიდატებზე, სიაში ვის რომელი ადგილი ექნება, აბსოლუტურად უადგილოა და ეს კიდევ უფრო მეტ ნიჰილიზმს ნერგავს საზოგადოებაში. როცა გაერთიანებაზე ლაპარაკობ, ჯერ ელემენტარული რამ არის გასაკეთებელი.

***– რა უნდა გაკეთდეს?***

– ჯერ ოპოზიცია უნდა დაჯდეს ერთი მაგიდის ირგვლივ, ჩამოყალიბდეს, რა პრინციპებია, რისთვის ვიბრძვით, ვადამდელისთვის, 2024 წლისთვის და ამის შემდეგ შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ უკვე ჩამოყალიბება იმასთან დაკავშირებით, ვის შეუძლია გაერთიანება, რა ერთობის შექმნა შეიძლება და ასე შემდეგ. დღეს კი უკუღმა ხდება ყველაფერი. როდესაც ორი და სამი პარტია შეიკრიბება და გააკეთებს განცხადებას, ჩვენ ჩამოვყალიბდით პრაიმერისზე და დანარჩენები შემოგვიერთდითო, ეს მხოლოდ და მხოლოდ უკურეაქციას იძლევა. ეს არის პრინციპულად არასწორი მიდგომა. ჯერ შეთანხმება უნდა შედგეს და ტელევიზიით განცხადებები მერე უნდა გაკეთდეს. სამწუხაროდ, ოპოზიციური პარტიების ნაწილს პირადი პარტიული ამბიციები ხელს უშლის ადეკვატური გადაწყვეტილების მიღებაში.

***– ოპოზიციის ერთი ნაწილი, თუნდაც ნაციონალური მოძრაობა, აცხადებს, რომ ეს არის მცდელობა, ერთი ოლიგარქი ჩაანაცვლონ მეორე ოლიგარქით და გულისხმობენ კეზერაშვილს, მისი ფულის გარშემო მოხდა ეს გაერთიანებაო. ამ ყველაფრიდან გამომდინარე, ჩნდება განცდა, რომ არანაირი გაერთიანება არ გამოვა.***

– ძალიან სამწუხაროა, ასეთი ტიპის რეალობა რომ შეიქმნა და ეს განპირობებულია ცალკეული პარტიების მცდელობით, მხოლოდ საკუთარი პარტიული ინტერესები განახორციელონ. როცა პარტიები ლაპარაკობენ იმაზე, რომ ახლა ცალკე პარტიები უნდა გაძლიერდნენ, რა თქმა უნდა, პარტიები უნდა გაძლიერდნენ, მაგრამ ხომ ყველას კარგად გვესმის, რომ ვერცერთი პარტია ვერ გაძლიერდება ისე, რომ, მინიმუმ, 5%-იანი ბარიერი თავისუფლად გადალახონ, ნაციონალური მოძრაობის გარდა, მით უმეტეს, ვერ გაძლიერდებიან ისე, რომ ხელისუფლებას ალტერნატივა შეუქმნან.



***– ანუ ეს გაერთიანება ვერანაირად ვერ ჩაითვლება ხელისუფლების ალტერნატივად?***

– ვერა. უბრალოდ, სამწუხაროდ, სასაცილოა ცალკეული პარტიებისა და ამ პარტიების ჯგუფის განცხადებები მესამე ძალაზე და ალტერნატიულ ძალასთან დაკავშირებით. არცერთ პარტიას ახლა ამის ძალა არა აქვს. მე გამახსენდა ის პერიოდი, როდესაც ჩემს პარტიას ორჯერ ზედიზედ 11% ჰქონდა არჩევნებზე შედეგი დაფიქსირებული. პირდაპირ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი პარტიაა ერთადერთი, ნაციონალური მოძრაობის გარდა, საქართველოს ისტორიაში, რომელმაც ოპოზიციაში ყოფნის დროს 11%-იანი შედეგი აჩვენა ორჯერ! ამის მიუხედავად, მე არცერთხელ არ გამიკეთებია განცხადება, რომ ჩვენ ვართ მესამე ძალა, ალტერნატიული ცენტრი და ასე შემდეგ. მიუხედავად სერიოზული შედეგისა, ძალიან კარგად მესმოდა, რომ 11% მაინც არ არის ხელისუფლების ალტერნატივა. რატომ ჰგონიათ ამ პარტიებს, რომლებმაც უზარმაზარი რესურსი დახარჯეს და მაინც 3% მიიღეს და ახლა კიდევ 3%-ზე ნაკლები აქვთ რეიტინგი, რომ ალტერნატიული ძალა არიან და საზოგადოების ნაწილი მათკენ გადაიხრება?! პირიქით ხდება, ეს საზოგადოებაში იწვევს კიდევ უფრო ნაკლებ პატივისცემას ამ პარტიების მიმართ და მეტ ნიჰილიზმს.

***– ასეთი შეფასებაც მოვისმინე, რა დროს მესამე ძალაზეა საუბარი, როცა მეორეც არ არსებობსო.***

– მეორე ძალად ავტომატურად ითვლება ნაციონალური მოძრაობა, რადგან მას აქვს სერიოზული მხარდაჭერა სხვა პარტიებთან შედარებით, მაგრამ, ერთი მხრივ, მართალი ხართ, ესეც არ არის მეორე ძალა, იმიტომ, რომ არც ნაციონალურ მოძრაობას არა აქვს იმის რესურსი, რომ ხელისუფლების ალტერნატივა შექმნას. ხელისუფლების ალტერნატივის შექმნა შეუძლია მხოლოდ და მხოლოდ სრულიად ოპოზიციურ გაერთიანებას. გაერთიანებას, ყველას მინუს ერთი. ცხადია, არ ვსაუბრობ „პატრიოტებზე“ და „ალტ ინფოზე“. თუმცა, ყველა მინუს ერთი – ეს არის ის გაერთიანება, რომელსაც შეეძლო, ხელისუფლების ალტერნატივა შეექმნა.

***– დღეს ამაზე არავინ საუბრობს.***

– ყველაზე დიდი შეცდომა ოპოზიციამ დაუშვა მაშინ და ეს არის იმ პარტიების დამსახურება, რომლებმაც შარლ მიშელის ინიციატივა აიტაცეს ისე, რომ, უბრალოდ, არ აუხსნეს ბატონ შარლ მიშელსა და ჩვენს დასავლელ პარტნიორებს, რეალურად რა სიტუაცია იყო ქვეყანაში. მოეწონათ პრივილეგირებულ მდგომარეობაში ყოფნა და ელიტური ოპოზიციის შექმნა გადაწყვიტეს ბარიერგადალახული პარტიების სახით. ჩემი აზრით, ეს იყო სამარცხვინო გადაწყვეტილება. ამ პარტიებმა აღიარეს, მიუხედავად იმისა, რომ მილიონობით რესურსი დახარჯეს, 3% აიღეს. როცა ეთანხმები ამ ფორმულას, ბარიერგადალახული და ბარიერგადაულახავი, ამით აღიარებ არჩევნებს! როცა შედიხარ პარლამენტში, რომელზეც ამბობ, რომ რუსი ოლიგარქის „ბუტკაა“, ამითაც აღიარებ არჩევნებს. ამ პარტიებმა აღიარეს, რომ არჩევნებში 3% მიიღეს. როცა ჯდები მაგიდასთან და ქმნი „ელიტურ“ კლუბს 3%-გადალახული პარტიებისას, უბრალოდ, სასაცილოდ გამოიყურები! სამი კი არა, 5%-ზე ნაკლები რომ დაგვიწერეს 2016 წელს გაყალბებულ არჩევნებში, ჩემი პარტიისთვის ტრაგედია და აბსოლუტური შოკი იყო. აღარაფერს ვამბობ 2020 წლის არჩევნებზე. რა ჰქონდათ „ელიტურ კლუბად“ გამოსაცხადებელი, ნამდვილად არ მესმის! შესაბამისად მიიღეს ის შედეგი, რომელიც მიიღეს. სამწუხარო ის არის, რომ მათი შეცდომების გამო ჩვენ ყველამ მივიღეთ ეს შედეგი, რომ ხელისუფლება გაძლიერდა, რომ ხელისუფლებას დღეს ალტერნატივა მართლა არანაირი არა აქვს და, ასე თუ გაგრძელდა, ხელისუფლება 2024 წლის არჩევნებში კიდევ უფრო დამაჯერებლად დაიწერს გამარჯვებას.

***– მძიმე ფონია ქვეყანაში და პროტესტიც რომ არ არის საზოგადოებაში? ოპოზიცია რა დღეშიც არის, ამაზე ვისაუბრეთ. ივანიშვილმა ფაქტობრივად შემოლობა მთელი ქვეყანა, ახლა ტყეების გადახურვაც დაიწყოო და ყველა დუმს. რას ცდილობენ ივანიშვილი და მმართველი გუნდი? დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონი გავიდა პირველი მოსმენით და ეს ივანიშვილს არ შეეხება, რადგან ოლიგარქი კი არა, მეცენატიაო. საერთოდ, საით მივდივართ?***

– მივდივართ ფეოდალური სახელმწიფოსკენ. უფრო ზუსტად, ფეოდალური სახელმწიფო უკვე ვართ და ახლა ამის გამყარებისკენ მივდივართ ძალიან დიდი და მყარი ნაბიჯებით. აქ ოპოზიციას არანაკლები წვლილი აქვს, ვიდრე თავად ივანიშვილსა და ხელისუფლებას.

***– ამ კანონპროექტის შესახებ რას იტყვით?***

– რა უნდა გითხრათ? ესეც წარმოუდგენელი სიყალბე იყო ოპოზიციის მხრიდან, როცა ამ კანონის მიღებასთან დაკავშირებით ლაპარაკი დაიწყეს. რა, არ ვიცოდით, რომ არ მიიღებდნენ ამ კანონს და მიიღებდნენ სწორედ ისეთი ფორმით, რომელიც სასაცილოს გახდიდა ამ კანონის მოქმედებას?! თუ ამდენი არ იცის ოპოზიციამ, ძალიან დიდი ბოდიში და პოლიტიკაში არაფერი არ ესაქმებათ! წავიდნენ, ისწავლონ და მერე დაბრუნდნენ პოლიტიკაში. თუ იციან და მაინც თამაშობენ, ეს კიდევ უარესია, ვიდრე უცოდინრობა. მე დიდი ხნის განმავლობაში ძალიან დელიკატურად ვცდილობდი, ეს მოსაზრებები მიმეწოდებინა ოპოზიციისთვის. პირველ ეტაპზე ჩავატარე კონსულტაციები აბსოლუტურად ყველა ოპოზიციურ ძალასთან, გავაცანი ჩემი პოზიცია, ავუხსენი ეს ყველაფერი. თითქოს პირად საუბრებში ყველა მეთანხმებოდა, მაგრამ, საბოლოო ჯამში, შედეგი არ დადგა. ერთი მხრივ, მე ნამდვილად არ მინდა, ხელისუფლების მაგივრად ოპოზიციის ოპოზიციონერი ვიყო, მაგრამ, მეორე მხრივ, როცა ვხედავ, რომ ვითარება სრული კატასტროფისკენ მიდის, ნამდვილად არ მინდა, ჩემს თავზე ავიღო ის პასუხისმგებლობა, რომელშიც არავითარი წვლილი არ მიმიძღვის.

***– სულ უფრო ხომ არ მყარდება ის მოსაზრება, რომ დღეს ოპოზიციის დიდი ნაწილი ივანიშვილის თამაშს თამაშობს?***

– მე არ მინდა, ასეთი მკვეთრი განცხადება გავაკეთო, მაგრამ პრაიმერის იდეის გამოცხადება, ნებსით თუ უნებლიეთ, რა თქმა უნდა, ხელისუფლების თამაში იყო. შარლ მიშელის დოკუმენტზე ხელმოწერა, რა თქმა უნდა, ხელისუფლების თამაში იყო. ვიმეორებ, თუ არ ესმით, მაშინ პოლიტიკაში არაფერი არ ესაქმებათ, თუ ესმით და მაინც ამას აკეთებენ, მით უმეტეს არ უნდა იყვნენ ასეთი ადამიანები პოლიტიკაში. ოპოზიციას აქვს კიდევ ძალიან მცირე შანსი, ძალიან მცირე დროა დარჩენილი. თუ ოპოზიცია იპოვის თავის თავში ძალას, რომ ამ ერთიანობისკენ ნაბიჯი გადადგას, კიდევ რჩება შანსი, რომ რაღაცა გამოვიდეს, თუმცა ეს შანსი ძალიან მცირეა. თუ ეს უახლოესი თვეების განმავლობაში არ იქნა განხორციელებული, მაშინ, ვიმეორებ, ვერცერთი ოპოზიციური პარტია, რომელიც არ იქნება შეკრული ივანიშვილთან, 5%-იან ბარიერს მარტო ვერ გადალახავს, ნაციონალური მოძრაობის გარდა. თუნდაც 2-3 პარტიის გაერთიანების შემ-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

# „ნაციონალურ მოძრაობაში ხრწნის პროცესი მიმდინარეობს“

## ანზორ აბრალავა: „ნიკა გვარამიას ციხეში ყოფნა ნამდვილად არ მინდა“



**რისთვის უნდა სჭირდებოდეს ხელისუფლებას ტელეარხის მენეჯერისა და დამფუძნებლის პატიმრობა? რა პროცესებია ოპოზიციაში? რატომ უტევენ დასავლეთს? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა ანალიტიკოსს, ყოფილ დეპუტატს ანზორ აბრალავას.**

მარიამ მჭედლიშვილი

***– არსებობს მოსაზრება, რომ ნიკა გვარამიას ციხეში ყოფნა საქართველოს ხელისუფლებას უნდა იმისთვის, რომ საქართველო დასავლეთმა მძაფრად აკრიტიკოს და საბოლოოდ ქვეყანა ვერ გახდეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატიც კი. თქვენ რას იტყვით?***

– ამ მოსაზრებას არ ვეთანხმები. არა მგონია, ხელისუფლებას უნდოდეს ევროპერსპექტივის ჩაშლა. პირადად მე ნიკა გვარამიას ციხეში ყოფნა ნამდვილად არ მინდა. არ მიხარია, რომ ის პატიმარია. ეს ჩვენი გადასაწყვეტი არ არის. მისი საკითხი სასამართლოს გადასაწყვეტია. საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას დაბრკოლებები სხვა რამის გამო შეექმნა. ამაში საქართველოს ხელისუფლებას ვერ დავადანაშაულებ. არსებობს გლობალური დაპირისპირება რუსეთსა და დასავლეთს შორის. საქართველოს ამის გამო არ იღებენ ევროკავშირსა და ნატოში. პირადად მე წლებია ვამბობ, რომ საქართველომ მიღება ამ გაერთიანებებში დაიმსახურა და ეს დასაჩქარებელია.

***– არც ისე დიდი ხნის წინ წამყვანი სახელმწიფოები – გერმანია და საფრანგეთი – ანგარიშს უწევდნენ რუსეთს, გარიგებულიც კი იყვნენ კრემლთან. მაშინ ისინი არ იყვნენ დაინტერესებული საქართველოს მიღებით ევროკავშირსა და ნატოში. ახლა ხომ სხვა ვითარებაა? ეს არ გამოიწვევს წინსვლას ამ კუთხით?***

– ჩვენ ახლა სულ სხვა მსოფლიო გვაქვს. საქართველოს მიღება დასავლეთის ნებაზეა დამოკიდებული. თუ გადაწყვეტენ, რომ საამისოდ შეიქმნა გეოპოლიტიკური, გეოეკონომიკური და სამხედრო მიზანშეწონილობა, მაშინ მიიღებენ საქართველოს, თუ არ გადაწყვეტენ, ვიქნებით ასე. კულუარებში რა პროცესებია, არ ვიცით. საქართველომ უნდა იფიქროს საკუთარ განვითარებაზე. ჩემი აზრით, მოგვიწევს ორმხრივი ხელშეკრულებების გზით სიარული.

***– ევროკავშირში გაწევრიანებისათვის დადგენილია პროცედურები.***

– მთავარია დასავლეთის სურვილი და მზაობა. საქართველო თავისი პარამეტრებით უკრაინასა და მოლდოვაზე მაღლა იდგა. ისინი კანდიდატები გახდნენ, საქართველო – ვერა. ამიტომ მგონია, რომ რაღაც პუნქტების შემოთავაზება შესასრულებლად დროის ფუჭი ხარჯვა და ახალი დაბრკოლებების შექმნაა, თანაც ჯერ კანდიდატობაზეა ლაპარაკი. კანდიდატობა წევრობა არ არის. კანდიდატის სტატუსის მონიჭებიდან შეიძლება 20 წელიწადი გვალოდინონ. ამ პერიოდში ევროკავშირს რა მოუვა, საკითხავია. ევროკავშირში კრიზისი შეინიშნება. სამწუხაროა, რომ ევროპას ისევ არ ჰყოფნის გამბედაობა. ასეთივე გაუბედაობა გამოიჩინა ევროპამ 1938 წელს, როცა ჰიტლერი წლის ადამიანად გამოაცხადა.

***– საქართველომაც ხომ არ გადაამეტა თავის ანტიდასავლურ რიტორიკაში? ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა სპეციალური ჯგუფი, რომელიც თავს ესხმის აშშ-ს, მის ელჩს, ევროკავშირს (სადაც შევდივართ). კონსტიტუციის თანახმად, არჩეული გვაქვს ევროატლანტიკური კურსი. ანტიდასავლელები კონსტიტუციის ფარგლებს გარეთ იმყოფებიან?***

– კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი იმიტომ გაკეთდა, რომ დასავლეთისთვის ეჩვენებინათ თავიანთი ერთგულება. ამის ჩაწერა კონსტიტუციაში არ იყო აუცილებელი. საქართველო მიდიოდა დასავლეთისკენ. ჩვენი სამხედროები მონაწილეობდნენ სამშვიდობო ოპერაციებში. ჩვენ გვაძლევდნენ დაპირებებს. ახლაც იძლევიან დაპირებებს, მაგრამ რეალობა სხვანაირია. რა მოხდა, თუ ვინმეს გაუჩნდება კრიტიკული მოსაზრებები, კითხვები, ასევე პასუხები. სხვებს თუ აქვთ ჩვენი კრიტიკის უფლება, ჩვენც გვაქვს პასუხების გაცემის უფლება.

***– ასე განმარტავთ ანტიდასავლური ჯგუფების (მათ შორის, „ხალხის ძალის“) იერიშებსა და ამ მოქმედებების კონსტიტუციასთან შეუსაბამობას?***

– მათ აქვთ უფლება, გამოხატონ აზრები. ჯობია, ეს უფრო კვალიფიციურად გააკეთონ. პირადად მაწუხებს ის, რომ გვპირდებიან, მიგიღებთო და შემდეგ დაბრკოლებებს გვიქმნიან. მსოფლიოში ძალიან რთული ვითარებაა. გლობალიზაცია გადაიქცა ახალი იმპერიების შექმნის საშუალებად. აშშ-ის ახლანდელი ხელისუფლების პოლიტიკას, ახლანდელ ადმინისტრაციას აშშ-შიც ჰყავს კრიტიკოსები. პატერნალისტურ მიდგომას ყოველთვის ვგმობდი. პატერნალიზმი ნიშ-

გაგრძელება მე-4 გვერდზე

ISSN 1987-9385
9 771987 938006

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# „ოპოზიციის ერთიანობის გარეშე არაფერი გამოვა“

## გედევან ფოფხაძე: „თუ ოპოზიცია გაერთიანდება და მართლაც წავა ჯანსაღი პროცესი, მაშინ პარლამენტის დატოვება-არდატოვების საკითხი მეორეხარისხოვანი იქნება“



ნათია ხურცილავა

„ქართული ოცნების“ ყოფილი წევრი, პარლამენტის ყოფილი დეპუტატი გედევან ფოფხაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

***— ბატონო გედევან, როგორც ჩანს, ოპოზიციამ 2024 წლის არჩევნებისთვის მზადება დაიწყო, თუმცა ბევრი რამ ჯერ ისევ გაურკვეველია. გაურკვეველია, როგორ აპირებენ არჩევნებზე გასვლას, გაერთიანებული ძალებით თუ ცალ-ცალკე. ამ საკითხებზე როგორია თქვენი პოზიცია?***

— მიმაჩნია, რომ ოპოზიციამ ორიენტაცია 2024 წლის არჩევნებისთვის არ უნდა აიღოს, რადგან არსებული მოცემულობა გამორიცხავს დემოკრატიულ არჩევნებს, სადაც ამომრჩეველი თავის ნებას თავისუფლად გამოხატავს. ოპოზიცია უნდა გაერთიანდეს ავტორიტარული რეჟიმის, ავტორიტარული, რუსეთუმე ხელისუფლების წინააღმდეგ.

რაც შეეხება გაერთიანებას, მას ალტერნატივა არა აქვს. ეს არის ბუნებრივი პროცესი და ყოველგვარი ზედმეტი ძალისხმევის გარეშე მოხდება ოპოზიციის გაერთიანება. მე ვთვლი, რომ საქართველოს მომავლის განხილვა ყოვლად წარმოუდგენელია იმ გლობალური პროცესის გარეშე, რომლის ავტორიც დღეს უკრაინაა. არ უნდა მოხდეს უკრაინაში მიმდინარე რეალობის იგნორირება. საკმარისია, მის იგნორირებას „ქართული ოცნება“ რომ ახდენს.

ქართულ პოლიტიკურ სპექტრს აქვს ვალდებულება, ქვეყანა წაიყვანოს ევროკავშირის გზაზე. ეს უნდა იყოს დღეს ოპოზიციურ პლატფორმაზე მთავარი დღის წესრიგი. ამ იდეის გარეშე სრულიად წარმოუდგენელი მგონია რაიმე საკითხზე მსჯელობა და საუბარი. ასევე მათ უნდა მოახდინონ რუსეთთან მიმართებით თავიანთი ცალსახა პოზიციის ჩვენება.

***— შეძლებენ გაერთიანებას?***

— გასაგებია, რომ ყველა თავის დროსა და დანიშნულებაზე ფიქრობს, თუმცა მე მახსენდება მერაბ კოსტავას სიტყვები, ეროვნული მოძრაობის დროს ნათქვამი: „ეროვნული მოძრაობა უნდა გვიყვარდეს ჩვენში და არა — ეროვნულ მოძრაობაში საკუთარი თავი“. აბსოლუტურად ბუნებრივია, რომ იქნება კამათი, იქნება აზრთა სხვადასხვაობა, მიუღებლობა და ბევრი იქნება გაუგებრობაც, მაგრამ, მთავარია, ამ ყველაფერზე მაღლა დავაყენოთ ქვეყანა და მისი ინტერესები. ეროვნულ მოძრაობაშიც იყო კამათი. ისეთი უნდა კამათი და დაპირისპირება, მაშინ რომ იყო, მაგრამ იდეა იყო უმთავრესი, ქვეყნის ინტერესები იყო წარმმართველი. 2012 წელსაც არ ჩაუვლია მკვეთრი დაპირისპირებების გარეშე, არც „ვარდების რევოლუციას“, მაგრამ მთავარი უნდა იყოს ის იდეა, რომლის გარშემოც ხდება კამათიც და დაპირისპირებაც.

გასაგებია, პოლიტიკოსები ცდილობენ თავიანთი განსაკუთრებული როლის წარმოჩენას ამ პროცესში. ყველას უნდა თავისი ფუნქციისა და როლის მონახვა. ეს არ არის უცხო პოლიტიკისთვის, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ იმაში, რომ ამ ბრძოლაში ერთიან ფრონტს ალტერნატივა არ გააჩნია. რამდენიმე დღის წინ ნიკა გვარამიას სასამართლო პროცესზე თითქმის სრულად იყო პოლიტიკური სპექტრი წარმოდგენილი. ეზოში სწორედ ამ საკითხებზე მსჯელობაც იყო, კამათიც, მაგრამ, არც კი მიფიქრია, ამ პოლიტიკოსების პოზიციები რაღაცნაირად დამეახლოებინა, რადგან ვიცი, ყველა მივა იმ დასკვნამდე, რომ ერთიანობის გარეშე არაფერი არ გამოვა და ეს ბუნებრივად მოხდება.

***— ამასობაში ხალხში ნიჰილიზმი რომ მძლავრობს?***

— ნიჰილიზმიც ტალღისებურია. როდესაც საზოგადოება დაინახავს ერთობას, იმედიც გაჩნდება, განწყობებიც შეიცვლება, რა თქმა უნდა, თუ პროცესი ჯანსაღი იქნება.

***— როგორ ფიქრობთ, ამ პროცესის ნაწილი უნდა იყოს პარლამენტის დატოვების საკითხი?***

— თუ ოპოზიცია გაერთიანდება და მართლაც წავა ჯანსაღი პროცესი, მაშინ პარლამენტის დატოვება-არდატოვების საკითხი მეორეხარისხოვანი იქნება. თუ გარეთ იქნება პროცესი, რომელსაც თან დასჭირდება პარლამენტში შიგნით თანმდევი პროცესი, მაშინ, პირიქით, ოპოზიციური ხმები შიგნით იქნება საჭირო, მაგრამ, თუ „ქართული ოცნება“ გააგრძელებს ავანტიურისტულ, ბინძურ თამაშებს, სათითაოდ ოპოზიციონერი დეპუტატების გადაბირებას, მაშინ იქ გაჩერებას აზრი არ ექნება და ოპოზიციამ სასწრაფოდ უნდა დატოვოს პარლამენტი. ისე, პარლამენტის დატოვება-არდატოვების საკითხი ტაქტიკის ნაწილია და არა სტრატეგიის. უმთავრესი საკითხი სულ სხვაა. მთავარია, ოპოზიციამ შეძლოს გაერთიანება და ხალხში იმედის დაბრუნება, რომ ისინი ამ ბრძოლაში გარდატეხის შეტანას შეძლებენ. ეს არის მთელი ამ პროცესის გასაღები, დანარჩენი ყველაფერი ტაქტიკის ნაწილია.

# „ქართულმა ოცნებამ“ მხოლოდ თავისი მომხრეები დაასაქმა. მასობრივი მიგრაციაა. ქვეყანა კატასტროფისკენ მიდის!“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

თხვევაში, საუკეთესო შედეგი შეიძლება იყოს 5%-იანი ბარიერის გადალახვა და 4-5 კაცით შესვლა პარლამენტში. თუ ამოცანა ეს აქვთ, რომ ნებისმიერ ფასად პარლამენტში შევიდნენ, შესაძლოა, რამდენიმე კაცით პარლამენტში მოხვდნენ. არ მესმის, ეს რატომ უნდა იყოს ამოცანა, თუ რეალურად ხელისუფლების შეცვლაზე ლაპარაკობ! ე.ი. არ არის ხელისუფლების შეცვლა ამოცანა, მათი მიზანია პარლამენტში მოხვედრა და მეტი არაფერი!

***— ქალბატონო ნინო, ბოლო პერიოდში აქტიურად საუბრობენ ივანიშვილის მესამედ მობრუნებაზე. რამდენად უშვებთ ამას? სჭირდება ივანიშვილს, რომ კიდევ ერთხელ ოფიციალურად მოვიდეს ხელისუფლებაში?***

— ახლა ამის აუცილებლობას ვერ ვხედავ, გარდა იმისა, რომ არაფორმალურ მმართველობაზე საუბარს მოეღოს ბოლო. თუ ის ოფიციალურად ხელისუფლებაში მობრუნდება, მაშინ ველარ ილაპარაკებ არაფორმალურ მმართველობაზე. ამან შესაძლოა სანქციებისა და სხვა საკითხების თემები უფრო გაუმარტივოს ხელისუფლებას. რეალურ საჭიროებას სხვას ვერ ვხედავ. ხელისუფლებამ ამ 10 წლის განმავლობაში მშვენივრად ისწავლა, როგორ უნდა შეინარჩუნოს ძალაუფლება, როგორ უნდა მართოს ვითარება. ნახეთ, რა სიტუაციაა? ქვეყანაში არის ვითარება, როდესაც მასობრივი მიგრაცია მიმდინარეობს. რჩებიან მხოლოდ „ქართული ოცნების“ მომხრეები. „ქართულმა ოცნებამ“ თავისი მომხრეები დაასაქმა ბიუჯეტისა და თითოეული ქართველი ადამიანის ხარჯზე. ყველა ოჯახიდან პრაქტიკულად თითო ადამიანი მიიბა და განსაკუთრებით ეს რეგიონებში ხდება, ხოლო ის ადამიანები, რომლებიც არ არიან „ოცნებასთან“ დაკავშირებული, უბრალოდ, თავიანთ ადგილს ვეღარ ხედავენ და ქვეყნიდან მიდიან. ამ ქვეყანაში დარჩებიან „ქართული ოცნება“ და მის მიერ გამოკვებილი ადამიანები. აბსოლუტური კატასტროფისკენ მიდის ქვეყანა! დიდი ნაწილი ან წასულია, ან წასვლაზე ფიქრობს. ამ დროს კი ოპოზიცია დაკავებულია დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონით, სახალხო დამცველის არჩევით, რომელიც თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ არა — დღევანდელ საქართველოში! ამ ვითარებაში გამოსავალი პრაქტიკულად არ არსებობს.

***— ივანიშვილზე საუბრისას სანქციები ახსენეთ და შესაძლოა, სწორედ ეს გახდეს მისი მესამედ მობრუნების მიზეზი, რათა დასავლეთიდან წამოსული სანქციები თავიდან აიცილოს?***

— რა თქმა უნდა. არ არის გამორიცხული, ამ ვითარებაში მას ხელისუფლებაში დაბრუნება დაეხმაროს ამ იარლიყის მოხსნაში, რომელსაც არაფორმალური მმართველობა ჰქვია. ნამდვილად არ არის გამორიცხული, შეიძლება, ეს იყოს ერთ-ერთი მოტივაცია. სხვა მხრივ მას ამის საჭიროება არა აქვს. ძალაუფლების შენარჩუნებისათვის „ქართული ოცნების“ დღევანდელი წარმომადგენლობა ყველაფერს მშვენივრად აკეთებს.

# „ვითხოვთ, 28 ოქტომბერი პარლამენტარიზმის დღედ გამოცხადდეს“

## თენგიზ დიხამინჯია: „უზენაესი საბჭოს დეპუტატებს გვინდა, საზოგადოებას იდეის დონეზე მივაწოდოთ კრიზისიდან გამოყვანის გეგმა“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს უზენაესი საბჭოს დეპუტატი თენგიზ დიხამინჯია პასუხობს.

***— ბატონო თენგიზ, მოგეხსენებათ, დღეს მსოფლიოში ურთულესი ვითარებაა და ჩვენი ქვეყანაც ურთულესი გამოწვევების წინაშე დგას. ცოტა ხნის წინ უზენაესი საბჭოს დიდი ჯგუფი შეიკრიბა. რას ემსახურებოდა ეს შეკრება?***

— უზენაესი საბჭოს ათეულობით წარმომადგენელი საზოგადოების ფართო წარმომადგენლებთან ერთად 28 ოქტომბერს შეიკრიბა. განვიხილეთ მთელი რიგი აქტუალური სახელმწიფოებრივი საკითხები, რომლებიც ამ ქვეყანას აწუხებს. ჩვენ შექმნილი გვაქვს დეპუტატთა კლუბი, რომელიც ფუნდამენტურ, სტრატეგიულ საკითხებზე დროდადრო საზოგადოებას თავს ახსენებს.

მოგეხსენებათ, 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარდა პოსტსაბჭოთა სივრცეში პირველი მრავალპარტიული არჩევნები. საქართველოს მთელმა მოსახლეობამ ხმა მისცა ეროვნულ ძალას, რომელმაც დიდი ეროვნული თანხმობის საფუძველზე ბრძნული, მშვიდობიანი, კანონიერი გზით საქართველოს დამოუკიდებლობა აღადგინა.

28 ოქტომბერს სათავე დაედო ახალ ერას. ეს იყო ქართული ნების უმაღლესი გამოხატულება და ისტორიულმასშტაბიანი ამოცანის აღსრულება. ამით საქართველომ მსოფლიო ერთა თანამეგობრობაში თავისი ადგილი დაიკავა და მსოფლიო საზოგადოებრიობის სრულუფლებიანი წევრი გახდა.

***— თქვენი დეპუტატთა კლუბი რას გვთავაზობს?***

— უზენაესი საბჭოს დეპუტატებს გვინდა, საზოგადოებას იდეის დონეზე მივაწოდოთ კრიზისიდან გამოყვანის გეგმა.

***— კერძოდ?***

— დეპუტატები, რომლებიც ქართული სახელმწიფოს სათავეებთან ვიდექით, რომლებმაც ქართველი ერის ნებით აღადგინეს საქართველოს დამოუკიდებლობა, შექმნეს ქართული სახელმწიფოს ძირითადი ინსტიტუტები, ხელი მოაწერეს ქართული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აქტს, ქმნიდნენ საქართველოს პარლამენტარიზმის ისტორიას, მივმართავთ საქართველოს მოქალაქეებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, პოლიტიკურ პარტიებსა და მოძრაობებს თხოვნით, რომ მხარი დაუჭირონ ჩვენს ინიციატივას, 28 ოქტომბერი ქართული პარლამენტარიზმის დღედ გამოცხადდეს.

***— ამ იდეის შეთავაზებით რის თქმა გინდათ?***

— ეს აქცია უნდა იყოს დასტური იმისა, რომ ქართველი ერი ითხოვს კანონისა და კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას, გარანტირებული მშვიდობიანობის პირობებში სამართლებრივ, დემოკრატიულ სახელმწიფოში ცხოვრება სურს. ეს ჩვენი ერის უზენაესი უფლებაა. ქართველი ერი ამგვარ გარანტიებს იმსახურებს.



***— ამ შემთხვევაში, კონსტიტუციური წესრიგის აღდგენაში რას გულისხმობთ?***

— მოგეხსენებათ, საქართველოში მოხდა გადატრიალება, ყველა ინსტიტუტი გაუქმდა. ჩვენ ვთავაზობთ მშვიდობიანი, დამოუკიდებელი, თავისუფალი ნებისა და იმ ფასეულობების გაზიარებას, რომლებიც ჩვენ მიერ შექმნილ სისტემაშია ასახული.

***— რას გულისხმობთ?***

— იგულისხმება რეფერენდუმის ღირებულებები, საბჭოთა სისტემის სამართლებრივი დემონტაჟი (სადაც „სამხრეთი ოსეთი“ გაუქმებულია), აფხაზეთში ჩატარებული რეფერენდუმი, სწორი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული განსაზღვრებები, კერძო საკუთრების დაცულობა.

***— ანუ გინდათ, რომ ხელისუფლებამ ეს ღირებულებები გაითვალისწინოს?***

— საზოგადოებას ვთავაზობთ, პატივი სცენ იმ ფასეულობებს, რომლებიც საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტიაა. შემთხვევით არ ჩამოვთვალე ის სტრატეგიული თემები, რომლებიც დაკავშირებულია პარლამენტარიზმთან და გადატრიალების შედეგების ლიკვიდაციასთან სამართლებრივი თვალსაზრისით, დიდი ეროვნული თანხმობის საფუძველზე. ეს არის ჩვენი ზეამოცანა.

***— რა მნიშვნელობა აქვს 28 ოქტომბრის პარლამენტარიზმის დღედ გამოცხადებას?***

— თუ 28 ოქტომბერი პარლამენტარიზმის დღედ გამოცხადდა, ე.ი. ესტაფეტის გადაცემა ხდება, სახელმწიფო და ანგარიშგასაწევი ადამიანები, ორგანიზაციები მთელი ეგზისტენციალური სისავსით, სიცხადით ქართულ სახელმწიფოებრივ სიმბოლოს თვალს უსწორებენ.

***— ანუ ფასეულობებს იზიარებენ?***

— დიახ. უნდა გაიზიარონ ის ფასეულობები, რომლებზეც დაფუძნდა დამოუკიდებელი სახელმწიფო. მრავალფეროვან, მრავალწახნაგოვან საკითხებში თანამშრომლობას ვთავაზობთ, კომპლექსური სასიცოცხლო ინტერესების გათვალისწინებით.

***— დღეს ფასეულობების გაზიარების საკითხი პრობლემატურად დგას?***

— პრობლემატურად, რა თქმა უნდა, არ დგას. ამდენი ხნის განმავლობაში ვუყურებთ, რომ ხელისუფლებებში, თავისი უსახური პოლიტიკური ცხოვრებით, აფხაზეთის, სამაჩაბლოს პრობლემის მოგვარებისა და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის საკითხები ადგილიდან არ დაძრულა. ეს არის საგანგაშო. სხვა ინსტიტუტებიც ხელს ვერ უწყობენ ამ თემების წამოწევას. მხედველობაში აფხაზეთის უმაღლესი საბჭოც მყავს. ამ ინსტიტუტს ვერ იყენებენ. დრო კი ჩვენ წინააღმდეგ მუშაობს.

***— როგორ?***

— არავის ეგონოს, თუნდაც რუსეთი რომ გავა, ეს საკითხი ავტომატურად მოგვარდება. ჩვენ ასეთი მიამიტობისაგან ძალიან შორს ვართ. უზენაესი საბჭოს გადაწყვეტილებებში მოცემულია ამ პრობლემების მოგვარების მექანიზმები. ჩვენ გვაქვს ამ პრობლემების მოგვარების ინტელექტუალური, მორალური და ყველანაირი მონაცემი, მომავალში მსოფლიო თანამეგობრობასთან კოორდინაციასა და თანაარსებობის რეჟიმში მოვაგვაროთ ეს ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესი საკითხები. თანამშრომლობისთვის მზად ვართ.

***— მრავალწახნაგოვან საკითხებში რას გულისხმობთ?***

— საკუთრების ფორმების განსაზღვრას, რას არის ეროვნული კუთვნილება, რა არის მიწა, რა არის ხელშეუხებელი, რა არის მარადიული ფასეულობები.

***— ეს დღევანდელ მიწის კანონში არ წერია?***

— არა, ძალიან ბუნდოვნად წერია. ჯერჯერობით სრულყოფილად არ განხილულა. მხოლოდ ორ სხდომაზე ეპიზოდური გამოსვლები იყო მიწის მართვის ერთიანი სისტემის შექმნის აუცილებლობაზე.

ამ კუთხით ჩვენ სერიოზული მეცნიერები გვყავს, ადამიანები, რომლებიც მზად არიან, ეს საკითხი მოაწესრიგონ. მიწის საკითხში საგანგაშო მდგომარეობაა, რადგან სასოფლო-სამეურნეო მიწების სტატუსის დაქვეითება და ხელშეუხებელი მიწის საკუთრების, როგორც ეროვნული კუთვნილების იგნორირება ხდება.

***— რა კუთხით?***

— სტატუსის დაქვეითება და ყიდვა-გაყიდვა ხდება. პასუხსაც არავინ აგებს. ის ადამიანები, რომლებიც ხელისუფლებაში არ ვართ, ვცდილობთ, ეს ფასეულობები დავიცვათ.

ხელისუფლებას მოვუწოდებთ, ეს დანაშაულებრივი საქმიანობები გააკონტროლოს და თვალი გაუსწოროს მომავალ ისტორიულ პერიპეტიებს, რომლებიც დიდი სამსჯავროს სახით ელოდება ყველა იმ ადამიანს, რომელიც უდიერად მოეპყრობა ფასდაუდებელ ეროვნულ სიმდიდრეს. მიწის მართვის ერთიანი სისტემის შექმნის სახელმწიფოებრივი პროექტის უკან უსერიოზულესი მეცნიერები დგანან, კერძოდ, ბატონი ნოდარ ნათაძე, პაატა კოღუაშვილი, გივი თალაკვაძე და სხვები.

განსაკუთრებით აღსანიშნავია სახელმწიფო რესურსების პროგრამა-კონცეფცია, რომელიც ბატონ გივი თალაკვაძეს აქვს შემუშავებული და საზოგადოებას სთავაზობს, რაც ამ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის ძირითად პარამეტრებზე პასუხისმგებლობის აღებაა. ძირითადად ეს არის, რაც ჩვენ შეგვიძლია, საზოგადოებას შევთავაზოთ.

საზოგადოებაც დაინტერესებული უნდა იყოს, რომ ამ ყველაფერს გაეცნოს და თავისი პოზიცია გამოხატოს ამ მრავალწახნაგოვან თემაზე.

# „საქართველო არის რეგიონული და გლობალური თანამშრომლობის გასაღები“

## რა შედეგით დასრულდა ირაკლი ღარიბაშვილის ოფიციალური ვიზიტები







ბოლო პერიოდში ირაკლი ღარიბაშვილის მოხშირებული სამთავრობო ვიზიტები რომ ოპოზიციას გულზე არ ეხატება, ჩვეულებრივი მოვლენაა. ამ საკითხზე რიტორიკული კითხვა სულ ჩნდება – თავად ოპოზიციის ლიდერთა შეხვედრები ხომ არ არის ჭორაობა სხვადასხვა ქვეყნის, სხვადასხვა პოლიტიკურ ლიდერებთან, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღებები ქვეყანაში კი არა, თავიანთ პარტიაშიც არ არიან.

პრემიერის ნებისმიერი ვიზიტი არის ქვეყნისთვის შედეგიანი. ამას თვითონ დიპლომატიის ლექსიკაში დამკვიდრებული ფრაზაც ადასტურებს – ოფიციალური ვიზიტი, ანუ ქვეყნის შიდაგარე ცხოვრებაზე, პოლიტიკურ დუღილზე, ურთიერთობებზე პასუხისმგებელი პირის ვიზიტი.

ეს ისე, ახლა უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ღარიბაშვილის ვიზიტებს რომ შევეხოთ.

დღეს არსებული მდგომარეობით, გარკვეულ წილად, მსოფლიო პოლიტიკური რუკის გადაჯგუფება მიმდინარეობს და გამონაკლისი არც ჩვენი რეგიონია.

აზერბაიჯან-სომხეთის დაძაბულობა, რომ დროდადრო პიკს აღწევს, ესეც ცნობილია. ღარიბაშვილის შეხვედრა ორივე ქვეყნის მეთაურთან რომ ამ ორ ქვეყანას შორის შუამავლის როლია, ესეც ნათელია.

მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გავრცელებული ინფორმაციის მიხედვით, შეხვედრაზე ირაკლი ღარიბაშვილმა აღნიშნა:

– რეგიონში მშვიდობა და სტაბილურობა ეკონომიკურ განვითარებას უზრუნველყოფს. ითქვა, რომ საქართველო და აზერბაიჯანის რესპუბლიკა საგარეო პოლიტიკის მიმართულებით მჭიდროდ თანამშრომლობენ და არსებული გამოწვევების დასაძლევად გაერთიანებული ძალებით მუშაობენ.

გამოითქვა ორ ქვეყანას შორის ორმხრივი პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა ტიპის კავშირების კიდევ უფრო განმტკიცების მზადყოფნა.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო რეგიონსა და მსოფლიოში არსებულ უსაფრთხოების გარემოს.

ღარიბაშვილ-ალიევის შეხვედრა რომ ძალიან შედეგიანი იყო, ამაზე თავად ალიევმა განაცხადა:

– მე საქართველოს პრემიერ-მინისტრს აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის მიმდინარე სამშვიდობო მოლაპარაკებების შესახებ ვაცნობე და მიგვაჩნია, რომ ამ კონფლიქტის მოგვარება აზერბაიჯანსა და სომხეთის მიერ მშვიდობის შეთანხმების ხელმოწერას საჭიროებს. ჩვენ 5 ძირითადი პრინციპი უკვე გავუზიარეთ სომხეთს და იმედი გვაქვს, რომ სომხეთი პოლიტიკურ ნებას გამოიჩენს, სამშვიდობო მოლაპარაკებებს დაიწყებს და სამშვიდობო შეთანხმებას ხელს მოაწერს. ასე თუ მოხდება მაშინ სამხრეთ კავკასიაში მშვიდობა დაისადგურებს და თანამშრომლობისთვის ახალი შესაძლებლობები იარსებებს.

დღეს გვაქვს ასევე საშუალება, რომ კონსულტაციები გავმართოთ აზერბაიჯანს, სომხეთსა და საქართველოს შორის. თუ სომხეთი მზად იქნება მზად ვიქნებით, დღესვე დავიწყოთ ეს ფორმატი, – განაცხადა ალიევმა.

შემდეგ იყო ვიზიტი პრაღაში, როცა პრემიერ-მინისტრი, მის ესტონელ კოლეგასთან ერთად, გაუძღვა დისკუსიას, რომელსაც ევროპული პოლიტიკური გაერთიანების ქვეყნების ლიდერები ესწრებოდნენ.

– დისკუსიის ფარგლებში, განხილულ იქნა არსებული გეოპოლიტიკური ვითარება, უკრაინაში მიმდინარე სამხედრო მოქმედებები. ისაუბრეს იმ გამოწვევებზეც, რომლებიც საფრთხეს უქმნის გლობალურ უსაფრთხოებას.

ლიდერებმა ასევე ისაუბრეს, თუ როგორ უნდა გაგრძელდეს ევროპული ოჯახის მშენებლობა და იმ ქვეყნების ინტეგრაცია, რომლებიც ევროპულ ოჯახთან არიან ასოცირებული.

დისკუსიას ესწრებოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი, თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეჯეფ თაიფ ერდოღანი, აზერბაიჯანის რესპუბლიკის პრეზიდენტი ილჰამ ალიევი, ლიეტუვის პრეზიდენტი გიტანას ნაუსედა, რუმინეთის პრეზიდენტი კლაუს იოჰანისი, ხორვატიის პრემიერ-მინისტრი ანდრეი პლენკოვიჩი, მონტენეგროს პრეზიდენტი მილო დუკანოვიჩი და ლუქსემბურგის პრემიერ-მინისტრი ხავიერ ბეტელი.

ნიუ იორკში ვიზიტისას ირაკლი ღარიბაშვილი თურქეთის რესპუბლიკის პრეზიდენტ რეჯეფ თაიფ ერდოღანს შეხვდა.

განსახილველ საკითხებს შორის იყო უკრაინაში მიმდინარე ომი და, შედეგად, მსოფლიოსა და რეგიონში არსებული რთული უსაფრთხოების ვითარება.

აღინიშნა ირაკლი ღარიბაშვილის შუამავლობით აზერბაიჯანსა და სომხეთს შორის გასულ წელს მიღწეული შეთანხმება, რომლის შედეგადაც აზერბაიჯანმა სომეხი ტყვეები გაათავისუფლა, სომხეთმა კი აზერბაიჯანს მნიშვნელოვანი რუკები გადასცა. აღინიშნა, რომ საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის არსებული ეფექტიანი თანამშრომლობის ყველა მიმართულებით კიდევ უფრო განვითარება მნიშვნელოვანია ასევე რეგიონის სტაბილური და მდგრადი განვითარებისთვის.

შეხვედრა მნიშვნელოვანი იმ კუთხითაც იყო, რომ პრემიერ-მინისტრმა თურქეთის პრეზიდენტი საქართველოში მოიწვია.

სამხედრო ექსპერტი ამირან სალუქვაძე პრემიერის ვიზიტებს ეხმაურება:

– თქვენ გახსოვთ, პრემიერ-მინისტრის თურქეთში ვიზიტისას თურქეთის პრეზიდენტის ერთი ფრაზა გამოვყავი – „საქართველო არის რეგიონული თანამშრომლობის გასაღები“. დახვედრის დეტალებზე მეც ვწერდი და აქტიურადაც გაშუქდა (თუმცა ყველა მედიამ არ შეამჩნია). დღეს რაც მოხდა, განცხადებები სამთავრობო წყაროებზე ვრცელდება, ზუსტად ისაა, რასაც ეს ფრაზა ასახავს და რაც მიუთითებს საქართველოს როლის ზრდაზე როგორც რეგიონულ პროცესებში, ასევე სამეზობლო პოლიტიკაში. ესაა ნდობის განმტკიცება პირველ რიგში ჩვენს უშუალო მეზობლებთან და რეგიონის გარე აქტორებთან.

ირაკლი ღარიბაშვილის უშუალო ჩართულობითა და დასავლელი პარტნიორების მხარდაჭერით, აზერბაიჯანის მხარემ საქართველოს ტერიტორიის გავლით სომხეთს გადასცა 15 ტყვე, ხოლო სომხეთმა აზერბაიჯანს – დანაღმული ტერიტორიების რუკები. თქვენ გახსოვთ პრემიერის ვიზიტების თანმიმდევრობა – ბაქო, ერევანი, ანკარა, მანამდე – ბრიუსელი. ამ ვიზიტების შედეგიცაა ნდობის გაღრმავება. ღარიბაშვილი, როგორც განცხადებებშია აღნიშნული, უშუალოდ იყო კავშირზე როგორც პრეზიდენტ ილჰამ ალიევთან, ასევე პრემიერ ნიკოლ ფაშინიანთან. მივესალმები ასეთ აქტიურ საგარეო პოლიტიკას. ასეთი ნაბიჯები ხელს შეუწყობს მშვიდობას რეგიონში, ნდობასა და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს. აზერბაიჯანული მხარე უკვე გამოეხმაურა და მადლობა გადაუხადეს ირაკლი ღარიბაშვილს გაწეული სამუშაოსთვის და მისი როლისთვის აღნიშნულ მოლაპარაკებაში. იმედი მაქვს, სხვა, ჩვენთვის სასიცოცხლო მიმართულებებითაც ასევე აქტიურ პოლიტიკას ვაწარმოებთ, – აცხადებს ამირან სალუქვაძე.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი ოლაფ შოლცი საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილთან შეხვედრას სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ ეხმაურება.

ოლაფ შოლცი აღნიშნავს, რომ ევროპულ საბჭოში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის გახსნაზე შეთანხმდნენ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერი აღნიშნავს, რომ ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე გერმანია სიამოვნებით გაუწევს საქართველოს დახმარებას.

– ბატონო პრემიერო, კეთილი იყოს თქვენი მობრძანება ბერლინში! ევროპულ საბჭოში ამ ზაფხულში საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის პერსპექტივის გახსნაზე შევთანხმდით. მოვუწოდებ საქართველოს, ამისთვის საჭირო რეფორმებთან დაკავშირებული ნაბიჯების გადადგმისკენ. ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე ჩვენ სიამოვნებით გაგიწევთ დახმარებას, – განაცხადა ოლაფ შოლცმა.

წარმატებული ვიზიტების ანგარიშზეა პრემიერ ღარიბაშვილის ვიზიტები უნგრეთში და არაბთა გაერთიანებულ საამიროებში.

„ნაყოფიერი შეხვედრა მქონდა უნგრეთის პრემიერ-მინისტრ ვიქტორ ორბანთან“, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ ქსელ „ტვიტერში“ წერს.

მთავრობის მეთაური აღნიშნავს, რომ შეხვედრაზე ყურადღება დაეთმო საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის დინამიკასა და კავშირების გაღრმავების აუცილებლობას.

– შეხვედრაზე ყურადღება გავამახვილეთ საქართველოსა და უნგრეთს შორის არსებული ორმხრივი თანამშრომლობის დინამიკაზე და ჩვენი კავშირების შემდგომი გაღრმავების აუცილებლობაზე მრავალი მიმართულებით. მადლობას ვუხდი უნგრეთს საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის, ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების მტკიცე მხარდაჭერისთვის, – აღნიშნულია „ტვიტერში“.

ეკონომიკური კუთხით ნამდვილად საშური შეხვედრა შედგა პრემიერ ღარიბაშვილსა და არაბთა გაერთიანებული საამიროების ტოლერანტობისა და თანაარსებობის მინისტრს, შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ-ნაჰაიანს შორის, რომელიც საქართველოში განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი ინვესტიციის მფლობელია.

პრემიერ-მინისტრმა აღნიშნა, რომ არაბთა გაერთიანებული საამიროები მიმზიდველი კომერციული, სავაჭრო და ტექნოლოგიური ცენტრია და დასაფასებელია მისი მზარდი საერთაშორისო პოზიციონირება ყველა მიმართულებით.

შეიხ ნაჰიან მუბარაკ ალ-ნაჰიანს საქართველოში 150 მილიონი დოლარის ღირებულების ინვესტიცია აქვს განხორციელებული.

# „ნაციონალურ მოძრაობაში ხრწნის პროცესი მიმდინარეობს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ნავს მარჩენალზე სრულ დამოკიდებულებას, ბრმა მორჩილებას. კრიტიკა აკრძალული არ არის.

***– საქართველოს ოპოზიციაში მიმდინარე პროცესებზე რას იტყვით? მაინცდამაინც დინამიკური მოვლენები არ მიმდინარეობს. ზოგიერთი ოპოზიციონერი პრაიმერიზის საფუძველზე ერთიანი სიის შედგენის ინიციატივიათ გამოდის, ზოგი აცხადებს, პარტიები დავიშალოთ და მერე გავერთიანდეთო.***

– ქვეყანაში უნდა არსებობდნენ ალტერნატიული პოლიტიკური ძალები. სამწუხაროა, რომ ასეთი ძალები არ ჩანან. ხელისუფლების შეცვლა, ხელისუფლების ჩანაცვლება პრობლემა და ტრაგედია არ არის. ესაა ჩვეულებრივი საარჩევნო პროცესი. საქართველოში არ არიან ნორმალური პოლიტიკური პარტიები, რომლებიც დაეყრდნობიან არჩევნებს. ამ ოპოზიციის უმრავლესობის მიზანია, გასცდეს კონსტიტუციის ჩარჩოებს, იმიტომ, რომ სხვა გზით ვერ მოდის ხელისუფლებაში. ყველაზე დიდი უბედურება ისაა, რომ ამ ოპოზიციას არ გააჩნია მორალური რესურსი. ოპოზიციონერები აკეთებენ განცხადებებს. მთავარი ის კი არ არის, რას ლაპარაკობენ. ის უფრო არსებითია, ვინ ლაპარაკობს. თავიანთი საქმიანობიდან, ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ამ პოლიტიკოსებს არავინ დაუჯერებს. ხალხი შტერი ჰგონიათ. არადა, ადამიანებს თითქმის ყველაფერი ახსოვთ. ოპოზიცია საზღვარგარეთაც დარბის, გარედან ზეწოლით

### „სხვებს თუ აქვთ ჩვენი კრიტიკის უფლება, ჩვენც გვაქვს პასუხების გაცემის უფლება“

იმუქრება. ამ პოლიტიკოსების მოქმედებები ყავლგასული და მომაბეზრებელი გახდა. ისინი მოქმედებენ ინტრიგების გამოყენებით. მათთვის მთავარია საკუთარი ინტერესი. ისინი პროფესიონალი პოლიტიკოსები კი არა, პროფესიონალი ინტრიგანები გახდნენ. ვისაც რაიმე კვალიფიკაცია ჰქონდა, ისიც გააცამტვერა.

***– ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში კრიზისული პროცესები მიმდინარეობს. თქვენ როგორ აფასებთ ამ სიტუაციას?***

– ნაციონალურ მოძრაობაში ხდება ის, რაც ემართებათ ხოლმე ომში დამარცხებულ არმიებს: ნაციონალურ მოძრაობაში ხრწნის პროცესი მიმდინარეობს.

***– ხელისუფლებაში ყოფნის შემდეგ ეს პარტია სულ მთავარ ოპოზიციად ითვლება. როდის დამარცხდა?***

– ჩემთვის ნაციონალური მოძრაობა დამარცხდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა ხელისუფლებაში მოვიდა. რა გზით მოვიდა ხელისუფლებაში, ყველამ იცის.

***– „ქართულმა ოცნებამ“ ნაცმოსთან ერთად დაამყარა ფაქტობრივი ორპარტიულობა. მათ ერთმანეთი ძალიან სჭირდებოდათ. ახლა რა ხდება?***

– ეს სიტუაცია, რომელიც ახსენეთ, გარკვეულწილად, საზოგადოების ბრალია. არის ბევრი ადამიანი, რომელიც გამოთქვამს პროტესტს, საკუთარ პოზიციას, მაგრამ პასიურია. საჭიროა აქტიურობა, პარტიების შექმნა. მართალია, ტელევიზიაში ასეთებს სტუდიას არ აკარებენ. კონკურენცია ვერ იქნება. იქ მუდმივად არის ორი პარტია (ან ერთი, ან მათთან დაკავშირებული ჯგუფი). მაინც აქტიურობა ჯობია.

***– ამ მხრივ ეს სიტუაცია არ შეცვლილა?***

– არა. ქართული ბიზნესიც არ უწყობს ხელს ეროვნულად განწყობილ პოლიტიკოსებს. სანამ ეროვნული ბიზნესი და ეროვნული პოლიტიკოსები ერთად არ დადგებიან, არაფერი შეიცვლება. ისე, აქტიურობა უფულოდაც შეიძლება. სამწუხაროდ, დღეს პოლიტიკაში ვხედავთ კრიმინალურ ბურჟუაზიას. ეს მდიდარი ადამიანები ან თვითონ არიან პოლიტიკაში, ან რომელიმე პარტიასთან დგანან. კრიმინალური ბიზნესმენები გამდიდრდნენ უსამართლო პრივატიზაციის შედეგად. ამაზე კაციშვილი ხმას არ იღებს. მათ დანაშაულებრივად იშოვეს დიდი ქონება და ახლა პოლიტიკაშიც აფათურებენ ხელს. მათი გვარების კიდევ ერთხელ დასახელება ზედმეტია. ისედაც ყველა მიხვდება.

## პოლიციამ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ბრალდებით 2 პირი დააკავა

სამართალდამცავებმა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისა და საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის ბრალდებით 2 პირი დააკავეს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას შინაგან საქმეთა სამინისტრო ავრცელებს.



უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ერთ-ერთმა ბრალდებულმა თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანით სხვა პირის სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა. პოლიციამ ორივე მამაკაცი ბრალდებულის სახით დააკავა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის საზღვრის მართვისა და კოორდინირების მთავარი სამმართველოს და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის აჭარის მთავარი სამმართველოს საგამოძიებო განყოფილების თანამშრომლებმა, უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე: 1971 წელს დაბადებული ს.ქ. და 1990 წელს დაბადებული ს.ჰ. სარფის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტში დააკავეს.

დანაშაული 5 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ს.ქ. საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის მცდელობის ბრალდებით, ხოლო ს. ჰ. საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობისთვის დააკავეს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ს.ქ. თავისი მართვის ქვეშ არსებული სატვირთო ავტომანქანით ს.ჰ.-ს სასაზღვრო საკონტროლო-გამტარი პუნქტის გვერდის ავლით, უკანონოდ გადაყვანას ცდილობდა. პოლიციამ ორივე მამაკაცი ბრალდებულის სახით დააკავა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონოდ გადაყვანის და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მცდელობის ფაქტებზე გამოძიება საქართველოს სსკ-ის 19-344-ე და 344-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

## საფრანგეთში დააკავეს ქართველები, რომლებმაც 65 შეკვრა კბილის ჯაგრისი მოიპარეს

საფრანგეთში დააკავეს ქართველები, რომლებმაც 65 შეკვრა კბილის ჯაგრისები მოიპარეს. ფრანგული მედიის ინფორმაციით, დაკავებულია 2 პირი. შემთხვევა ფორკალიეს ოლქში, ერთ-ერთ სუპერმარკეტში მოხდა. პოლიცია ვარაუდობს, რომ ეს ადამიანები ოლორონ-სენტ-მარის ოლქში 9 სექტემბერს მომხდარ ქურდობასთანაც არიან კავშირში. გარდა ამისა, ვარაუდობენ იმასაც, რომ ისინი მოპარული ნივთების გაგზავნას საქართველოში გეგმავდნენ. მედიის ინფორმაციით, საფრანგეთში ბოლო დროს მცირე ზომის აქსესუარების, მათ შორის კბილის ჯაგრისებისა და საპარსების მოპარვა გახშირდა, რადგან მათი წაღება და სხვა ქვეყანაში გაგზავნა უფრო ადვილია.

## ქედაში ავტოსაგზაო შემთხვევას მსხვერპლი მოჰყვა. არიან დაშავებულებიც




ქედაში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა, ხოლო 5 დაშავდა. შემთხვევა სოფელ დოლოგანთან, ცენტრალურ საავტომობილო გზაზე მოხდა. ერთმანეთს მიკროავტობუსი და მსუბუქი ავტომობილი შეეჯახა.

დაშავებულები ბათუმისა და ქედის კლინიკებში არიან გადაყვანილი. არსებული ინფორმაციით, დაშავებულთა შორის მცირეწლოვანი ბავშვებიც არიან.

ადგილზე სამაშველო სამსახური, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ჯგუფი და სამართალდამცავები არიან მობილიზებული.

## პროკურატურამ ნარკოდანაშაულისთვის 25 პირს, მათ შორის 18 ნარკორეალიზატორს ბრალი წარუდგინა

საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების შეძენის, შენახვის, გასაღებისა და გასაღების მცდელობის ფაქტზე 18 პირს, ხოლო განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების, ასევე ფსიქოტროპული ნივთიერების შეძენა-შენახვის ფაქტზე 7 პირს ბრალდება წარუდგინა.

გენერალური პროკურატურის მიერ გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოძიების შედეგად დადგინდა, რომ 18 პირი, ფულადი თანხის სანაცვლოდ, სისტემატიურად ეწეოდა ნარკოტიკული საშუალებების რეალიზაციას. მათივე ცნობით, ასევე 7 ბრალდებული უკანონოდ ინახავდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკულ საშუალებებს და ფსიქოტროპულ ნივთიერებებს.

– 2022 წლის 8 ოქტომბრიდან 1 ნოემბრის ჩათვლით პერიოდში, სასამართლოს შესაბამისი განჩინებების საფუძველზე, ეტაპობრივად ჩატარდა ზემოხსენებულ პირთა საცხოვრებელი სახლებისა და პირადი ჩხრეკები, რის შემდგომაც მოხდა მათი დაკავება.



დაკავებულებს ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის პირველი, მესამე, მეოთხე, მეხუთე, მეექვსე და მეშვიდე ნაწილებით, 273'-ე მუხლის მეორე, მესამე, მეხუთე და მერვე ნაწილებით, 19,260-ე მუხლის მეოთხე, მეხუთე და მეშვიდე ნაწილებით, აგრეთვე 261-ე მუხლის მეშვიდე ნაწილით წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 14-დან 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

პროკურატურამ ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების შუამდგომლობით სასამართლოს უკვე მიმართა, – ნათქვამია გავრცელებულ ინფორმაციაში.

## მარიკა არევაძე ნიკა გვარამიას საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს

სახალხო დამცველობის კანდიდატი მარიკა არევაძე ნიკა გვარამიას საქმესთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს.

განცხადებას უცვლელად გთავაზობთ:

– ნიკა გვარამიას საქმეზე სახალხო დამცველს აქვს მომზადებული საკმაოდ მოცულობითი და დასაბუთებული „სასამართლო მეგობრის“



მოსაზრება. ამ მოსაზრების შესაბამისად, „განხილული კანონმდებლობებისა და სასამართლო პრაქტიკის ანალიზის შედეგად ირკვევა, რომ საწარმოს დირექტორის მიერ მიღებული, თუნდაც საზიანო გადაწყვეტილება არათუ სისხლის, არამედ საკორპორაციო-სამართლებრივ პასუხისმგებლობასაც კი მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში ექვემდებარება“. სახალხო დამცველს ასევე შესწავლილი აქვს პირველი ინსტანციის განაჩენი და, მისი დასკვნის შესაბამისად, „სასამართლოს მსჯელობა დაუსაბუთებელია როგორც მსჯავრდების, ისე – სასჯელის განსაზღვრის კუთხით“.

მიმაჩნია, რომ აღნიშნული საქმე მნიშვნელოვანია ორი მიმართულებით, კერძოდ, ერთი ეს არის საქმის სამართლებრივი შინაარსი და მეორე, მისი (სამართლიანი სასამართლოსა და მედია თავისუფლების ჭრილში) მნიშვნელობა ქვეყნის ევროინტეგრაციის ფარგლებში.

ძალიან მოკლედ შევეხები ორივეს. საქმის სამართლებრივ მნიშვნელობის თვალსაზრისით უნდა აღინიშნოს, რომ საქმე ეხება საწარმოს საქმიანობის ფარგლებში მიღებულ მენეჯერულ გადაწყვეტილებებს. მენეჯერული გადაწყვეტილება კი შესაბამისი პირობების არსებობის შემთხვევაში შეიძლება გახდეს სამოქალაქო სამართლებრივი დავის (ზიანის) საგანი. ამ შემთხვევაში კი საჭიროა არსებობდეს მოსარჩელე, ანუ პირი ვინც შეედავება ზიანზე დირექტორს. ამ კატეგორიის საქმეებზე სისხლისსამართლებრივი კვალიფიკაცია და პასუხისმგებლობა რეალურ საფრთხეს უქმნის ყველა საწარმოს ყველა დირექტორს, ამასთან აჩენს სახიფათო ზემოქმედების ბერკეტს. ამიტომ არის მნიშვნელოვანი, რომ გამოყენებული ყოფილიყო სამოქალაქო და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობების გამიჯვნის პრინციპები და ეს გამიჯვნა კარგად ყოფილიყო დასაბუთებული განაჩენში.

რაც შეეხება ევროინტეგრაციის ფარგლებში მის მნიშვნელობას, ყველამ ვიცით რომ იმისათვის რომ ქართველი ხალხის ნება შესრულდეს და საქართველო გახდეს ევროპული ოჯახის წევრი, ჯერ პირველ რიგში საჭიროა მოვიპოვოთ კანდიდატის სტატუსი, კანდიდატის სტატუსის მისაღებად კი საჭიროა 12 პუნქტში გაწერილი ვალდებულებების შესრულება. ამ საქმეზე არსებული განაჩენები, კი რომელიც სახალხო დამცველის შეფასებით არის დაუსაბუთებელი და ამავე დროს ფართო საზოგადოებაშიც აჩენს კითხვის ნიშნებს, სამწუხაროდ, იწვევს იმას, რომ 12 პუნქტიდან მინიმუმ 3 პუნქტი ვარდება, ანუ ვერ სრულდება.

ამ საქმეზე სახალხო დამცველს ჯერ კიდევ ივნისის თვეში აქვს მიმართული პრეზიდენტისათვის გვარამიასთან მიმართებით შეწყალების უფლებამოსილების გამოყენების შესახებ. მნიშვნელოვანია, რომ ეს უფლებამოსილება იქნას პრეზიდენტის მხრიდან გამოყენებული, – აღნიშნულია განცხადებაში.

## სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე პატრულ-ინსპექტორს ბრალი წარუდგინეს

საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ, ჯგუფურად, დიდი ოდენობით თანხების თაღლითურად დაუფლების, მითვისებისა და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ფაქტებზე, 4 პირს ბრალდება წარუდგინა.

უწყების მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში აღნიშნულია, რომ პროკურატურის მიერ ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ 2021 წელს, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა, დაზარალებულს შესთავაზეს მის კომპანიაზე დარიცხული საგადასახადო დავალიანების შემცირების, საგადასახადო შეთანხმების გაფორმებისა და კომპანიის ხელმძღვანელი პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თავიდან აცილებაში დახმარება, რისთვისაც მას მოსთხოვეს 10.000 აშშ დოლარის გადახდა, რასაც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები თითქოსდა ქრთამის სახით ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის ერთ-ერთ მაღალი თანამდებობის პირს გადასცემდნენ. დაზარალებულმა ჯგუფის წევრებს 6.500 აშშ დოლარი გადასცა, რასაც ბრალდებულები თაღლითურად დაეუფლნენ.

– მოგვიანებით, თაღლითობის თაობაზე ცნობილი გახდა შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის პატრულ-ინსპექტორისთვის. ამ უკანასკნელმა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებთან მეგობრული და საქმიანი კავშირების გამო, არ მოახდინა სამართლებრივი რეაგირება ჩადენილ დანაშაულზე, რამაც დაზარალებული პირის და სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ასევე, დაზარალებულის მხრიდან სამართალდამცველებისთვის შეტყობინების შიშით, თაღლითური ჯგუფის წევრებმა მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად, ხსენებულ პატრულ-ინსპექტორს დაზარალებულისთვის დასაბრუნებლად 6.200 აშშ დოლარი გადასცეს, საიდანაც მან დაზარალებულს 4.800 აშშ დოლარი მისცა, ხოლო 1.400 აშშ დოლარი მიითვისა.

დანაშაულებრივი ჯგუფის 3 წევრს ბრალდება სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი დიდი ოდენობით ნივთის მოტყუებით დაუფლება) წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო ქ.თბილისის მთავარი სამმართველოს დიდუბე-ჩუღურეთის სახაზო-საპატრულო სამმართველოს პატრულ-ინსპექტორს ბრალდება სსკ-ის 332-ე მუხლის პირველი ნაწილითა და სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება და სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია) წარედგინა, რაც სასჯელის სახედ და ზომად 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. პროკურატურა ბრალდებულების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით სასამართლოს კანონით დადგენილ ვადაში მიმართავს. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

## დეტალურად აღწერდა, როგორ მოკლა ჯერ მამა, მერე დედა... – მშობლების მკვლელობაში ბრალდებულის ჩვენება

მშობლების მკვლელობაში ბრალდებულ გიორგი ბეროზაშვილის საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში მოწმეები იკითხებიან.



მოწმის სახით დაიკითხა თბილისის პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე კახა მურადაშვილი. მისი განცხადებით, მშობლების მკვლელობაში ბრალდებულმა გიორგი ბეროზაშვილმა გამოძიების ეტაპზე დანაშაული დეტალურად აღიარა. აღნიშნულთან დაკავშირებით მურადაშვილმა სასამართლო პროცესზე განაცხადა.

– მას გავესაუბრე, დეტალებს ამბობდა კონკრეტული დანაშაულის შესახებ. პატაკით მივმართე ხელმძღვანელს, რომ მის მიმართ ფარული საგამოძიებო მოქმედება განხორციელებულიყო ჩემი მონაწილეობით, რათა ეს ინფორმაცია დაფიქსირებულიყო. ის უარზე იყო მოწმის სახით ჩვენება მიეცა. განხორციელდა ფარული აუდიო-ვიდეო ჩაწერა, მას გავესაუბრე, დეტალურად აღწერა მის მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედება, რაც შესაბამისი ტექნიკური საშუალებით ჩაწერილია. დეტალურად აღწერდა ყველაფერს, როგორ მოკლა ჯერ მამა, მერე დედა და როგორ ცდილობდა ალიბის შექმნას, – განაცხადა მურადაშვილმა.

გამოძიების ინფორმაციით, 27 აპრილს ვაზისუბანში 30 წლის გიორგი ბეროზაშვილმა კონფლიქტის ნიადაგზე, მძინარე მშობლები ჯერ მოკლა, შემდეგ კი კვალის დაფარვის მიზნით, სახლს ცეცხლი წაუკიდა.

## „ჩაუდეს ნარკოტიკი“ – ოკუპირებულ აფხაზეთში ქალი ქართული დროშის ტარებისთვის დააკავეს

ოკუპირებულ აფხაზეთში დააკავეს ქართველი გოგო, რომელსაც საქართველოს დროშის ტარებას ედავებიან. ამის შესახებ ინფორმაციას „აფხაზური ამბები“ ავრცელებს:



– ოკუპირებულ აფხაზეთში კიდევ ერთი ქართველი დააკავეს. ედავებიან ქართული დროშის ქონას. ბრალის დამძიმების მიზნით გოგონას ჩაუდეს ნარკოტიკი, – წერს ორგანიზაცია.

## თბილისის აეროპორტში არადეკლარირებული ვერცხლის საიუველირო ნაკეთობები აღმოაჩინეს




ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საბაჟო-გამშვებ პუნქტ „თბილისის აეროპორტში“ სამართალდარღვევის ფაქტი აღიკვეთა. კერძოდ, მებაჟე ოფიცრების მიერ, ეჭვის საფუძველზე, საქართველოს მოქალაქის ი.ს.-ს კუთვნილი ხელბარგის დათვალიერების შედეგად, არადეკლარირებული ვერცხლი (საერთო წონა 8.500 გრამი) საიუველირო ნაკეთობები გამოვლინდა.

არადეკლარირებული საქონლის საერთო საბაჟო ღირებულებამ 13.670.42 ლარი შეადგინა.

საქართველოს საბაჟო კოდექსის 168-ე მუხლის I ნაწილის შესაბამისად, კანონდამრღვევ საქართველოს მოქალაქეს, სანქციის სახით ფულადი ჯარიმა, საქონლის საბაჟო ღირებულების 100%-ის ოდენობა, 13.670,42 ლარი შეეფარდა.

# კიევის მერი მოსახლეობას მოუწოდებს, უარესისთვის მოემზადონ



კიევის მერი ვიტალი კლიჩკო დედაქალაქის მოსახლეობას მოუწოდებს, უარესისთვის მოემზადონ.

მისი თქმით, თუ რუსეთი გააგრძელებს იერიშებს უკრაინის ენერგოინფრასტრუქტურაზე, ისინი ელექტროენერგიის, წყლის ან გათბობის უქონლობისთვის უნდა მოემზადონ.

– ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ ამის თავიდან ასარიდებლად, მაგრამ, გულწრფელად რომ გითხრათ, ჩვენი მტრები ყველაფერს აკეთებენ, რომ ქალაქი გათბობის, ელექტროენერგიისა და წყალმომარაგების გარეშე დარჩეს, ყველაფერს აკეთებენ, რომ ზოგადად ჩვენ ყველანი დავიხოცოთ. ქვეყნისა და თითოეული ჩვენგანის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, თუ რამდენად ვართ მზად სხვადასხვა ვითარებისთვის, – განაცხადა კლიჩკომ.

The New York Times-ის ინფორმაციით, ელექტროენერგიის სრული გათიშვის შემთხვევაში, კიევის ხელისუფლებამ დედაქალაქის 3 მილიონი მცხოვრების ევაკუაციის დაგეგმვა დაიწყო.

# ტანზანიაში სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა



ტანზანიაში, ვიქტორიას ტბაში, უამინდობის გამო Precision Air-ის კუთვნილი სამგზავრო თვითმფრინავი ჩამოვარდა.

გავრცელებული ინფორმაციით, დაახლოებით 26 ადამიანი საავადმყოფოშია გადაყვანილი.

ოფიციალური პირების თქმით, სამაშველო სამუშაოები გრძელდება.

როგორც პოლიციამ განაცხადა, თვითმფრინავი ვიქტორიას ტბაში ჩავარდა მანამდე, სანამ ის ტანზანიის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ ბუკობაში დაეშვებოდა.

– წვიმდა და თვითმფრინავი წყალში ჩავარდა. ყველაფერი კონტროლის ქვეშაა, – განუცხადა რეგიონული პოლიციის მეთაურმა ჟურნალისტებს.

მისივე თქმით, მაშველებმა „უამრავი ადამიანის გადარჩენა შეძლეს“.

საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესის“ ცნობით, რეისზე 39 მგზავრი, ორი პილოტი და ორი სტიუარდესა იმყოფებოდა.

# ბაიდენის ადმინისტრაცია უკრაინის ლიდერებს მოუწოდებს, რუსეთთან მოლაპარაკების მიმართ ღიაობა გამოხატონ



ბაიდენის ადმინისტრაცია უკრაინის ლიდერებს პირად საუბრებში მოუწოდებს, გამოხატონ ღიაობა რუსეთთან მოლაპარაკებების მიმართ და უარი თქვან სამშვიდობო მოლაპარაკებებთან დაკავშირებით საჯაროდ იმ განცხადებების გაკეთებაზე, რომელიც დიალოგს მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილავს, თუ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი ხელისუფლებას ჩამოშორდება. ინფორმაციას ამერიკული გამოცემა The Washington Post ავრცელებს.

გამოცემა საკუთარ ანონიმურ წყაროებზე დაყრდნობით წერს, რომ ეს მოთხოვნა არ გაკეთდა უკრაინის მოლაპარაკებებში ჩართვის იძულების მიზნით, არამედ ესაა მცდელობა, შენარჩუნდეს მხარდაჭერა იმ ქვეყნებში, რომლებიც შეშფოთებულნი არიან პუტინის ომის გავლენით მსოფლიო ეკონომიკაზე და ასევე, ღელავენ ბირთვული ომის საფრთხის გამო.

The Washington Post-ის მიერ გამოქვეყნებული ინფორმაციის სიზუსტეზე თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს კომენტარი არ გაუკეთებია.

# „არა ომს“ ლოზუნგით რომში მსვლელობა გაიმართა




„არა ომს. არა იარაღის გაგზავნას“ – ამ ლოზუნგებით ათიათასობით იტალიელმა რომში მსვლელობა გამართა.

საინფორმაციო სააგენტო „ფრანს-პრესის“ ცნობით, აქციის მონაწილეები უკრაინაში მშვიდობის დამყარების მოწოდებით გამოვიდნენ. ამასთან, მათ იტალიის მთავრობას მოუწოდეს, შეწყვიტონ უკრაინისთვის რუსეთის შეჭრის წინააღმდეგ საბრძოლველად იარაღის გაგზავნა.

როგორც მედიასაშუალება წერს, აქციის მონაწილეები სკანდირებდნენ: „მიეცით მშვიდობას შანსი“.

რომის პოლიციამ იტალიურ მედიას განუცხადა, რომ სამშვიდობო აქციას დაახლოებით 30.000 ადამიანი ესწრებოდა.

– შეხედეთ ფაქტებს: იარაღის გაგზავნა არ უწყობს ხელს ომის შეჩერებას. იარაღი ხელს უწყობს ომის გამწვავებას, – აღნიშნა აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ.

ცნობისთვის, იტალია უკრაინას ომის დაწყებიდანვე უჭერს მხარს, მათ შორის იარაღის მიწოდების კუთხით. ახალმა ულტრამემარჯვენე პრემიერ-მინისტრმა ჯორჯია მელონმა განაცხადა, რომ ეს არ შეიცვლება და მალე ოფიციალური რომი კიევს მეტ იარაღს გაუგზავნის.

# უკრაინამ 19 მესაზღვრე რუსების ტყვეობიდან გაათავისუფლა



კიდევ 19 უკრაინელი შინ დაბრუნდა – მესაზღვრეები რუსების ტყვეობიდან გაათავისუფლეს. ინფორმაციას უკრაინული მედია საზღვრის დაცვის სახელმწიფო სამსახურზე დაყრდნობით ავრცელებს. მათივე ცნობით, უკრაინელები უკვე მშობლიურ მიწაზე იმყოფებიან. მათ მისცეს ტელეფონები და შეძლეს ახლობლებთან გასაუბრება.

– რუსების ტყვეობის გრძელი თვეები დასრულდა. 19 მესაზღვრე დაბრუნდა სახლში. მათ სამედიცინო შემოწმებასა და რეაბილიტაციას ჩაუტარებენ. მთავარია, რომ ცოცხლები არიან და სახლში იმყოფებიან, – აცხადებენ უწყებაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

## კალეიდოსკოპი

# გაქურდულ მაღაზიაში დავიწყებული iPhone-ის წამოსაღებად დაბრუნებული მძარცველი პოლიციას ჩაუვარდა ხელში



ამერიკის ოკლაჰომას შტატის ქალაქ ტალსას პოლიციამ დააპატიმრა მამაკაცი, რომელმაც ფიჭური კავშირგაბმულობის მაღაზია გაქურდა და დანაშაულის ადგილზე იქ დარჩენილი iPhone-ის-თვის დაბრუნდა.

დილით ადრე ტელეკომუნიკაციების კომპანიის მაღაზიაში სიგნალიზაცია ამუშავდა, ადგილზე მისულმა სამართალდამცავებმა აღმოაჩინეს, რომ შენობაში ელექტროობა გამორთული იყო, ერთ-ერთი ფანჯარა ჩამტვრეული, ხოლო ვიტრინიდან გამოფენილი ტელეფონები, დამტენები და სხვა საქონელი წაღებული. სულ ათასი დოლარის ღირებულების საქონელი იყო წაღებული.

მაღაზიის დათვალიერებისას პოლიციელებმა აშკარად ნახმარი iPhone-ი აღმოაჩინეს. მისი პატრონი მაღაზიის თანამშრომლებს შორის არ აღმოჩნდა და ამიტომ ის ნივთმტკიცებულების სახით იქნა ამოღებული.

სამართალდამცავების წასვლის შემდეგ მაღაზიასთან მამაკაცი, სახელად დილონ სლეკი გამოჩნდა და შიგნით შესვლას შეეცადა. მან განაცხადა, რომ მაღაზიაში საკუთარი მობილური ტელეფონი დარჩა და მისი წაღება სურდა. მაღაზიის თანამშრომლებმა სლეკს განუცხადეს, რომ მისი ტელეფონი მაღაზიაში არ ჰქონდათ და მან იქაურობა ჯიპ ჩეროკის ავტომობილით დატოვა, რომელსაც მარჯვენა ფრთა აკლდა. მაღაზიის თანამშრომლებმა მაშინვე ეს ყოველივე პოლიციას აცნობეს.

მოგვიანებით პოლიციამ აღნიშნული ავტომობილი ავტოსადგომზე გაჩერებული აღმოაჩინა. სლეკი თავად მივიდა პოლიციელებთან და მათ განუცხადა, რომ ის მეთ დეიმონი იყო. პოლიციის თანამშრომლებმა მამაკაცი დააპატიმრეს. მეორე პოლიციელმა მოძებნა და დააკავა სლეკის მამა დევიდ მაკოლოუ. მამაკაცმა დანაშაულის ჩადენა აღიარა და ასევე აღიარა, რომ იმ დროს მამა მას ავტომობილში ელოდებოდა. ორივე დაკავებულს ქურდობის და სხვა პიროვნებად თავის გასაღების ბრალდება წაუყენეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

# საჩემპიონო რბოლა გრძელდება

**ლოკომოტივი-დინამო (თბ) 0:2**

**საგურამო. ლოკო-საგურამო**

0:1 მექვაბიშვილი (6), 0:2 ოდიშარია (80)

**ლოკომოტივი:** გოშაძე, ანდრონიკაშვილი, შეყილაძე, ჭიაბრიშვილი (ომარაშვილი 83), ძებნიაური, ხარაიშვილი, გაბაძე (გიორგაძე 75), კახაბრიშვილი (ნ.ხუციშვილი 75), იაშვილი (ქველაძე 75), აბდულაჰი (გ.ხუციშვილი 59), უბილავა

**დინამო:** კუტალაძე, მალი, კალანდაძე, ხვადაგიანი (კობოური 65), მექვაბიშვილი (ოსიყმაშვილი 62), იმრანი (მოისწრაფიშვილი 57), ბილენკი (სხირტლაძე 57), ტაბიძე, ბარნსი (სიგუა 62), კამარა, ოდიშარია

საგურამოში გამართულ მატჩში ანგარიში ანზორ მექვაბიშვილის ადრიანი გოლით გაიხსნა და მას შემდეგ დინამოს უპირატესობა ეჭვს არ იწვევდა.

ჩემპიონატის ლიდერმა ანგარიშში სხვაობა ორამდე მატჩის მიწურულს გაზარდა – 20 წლის ლაშა ოდიშარიამ ოთო გოშაძის კარი მე-80 წუთზე აიღო და ეროვნულ ლიგაში კარიერის პირველი გოლი გაიტანა.

დინამომ ლოგიკური და იოლი გამარჯვება მიითვალა.

**თელავი-დინამო (ბთ) 0:2**

**თელავი. კავკასიონი არენა**

0:1 ღუდუშაური (70), 0:2 ფლამარიონი (75)

**თელავი:** თანდილაშვილი, ც.კაპანაძე, ბერიაშვილი, ზ.თევზაძე, ფირანაშვილი (გიგაშვილი 76), ვიტინიო, ბ.ქავთარაძე (მუჯირი 83), კოხრეიძე (ყაველაშვილი 76), ჯიქია, ქოჩლაძე (პავიშიჩი 83), ფაცაცია (პარკინაშვილი 76)

**დინამო:** ალავიძე, ტეიდი, აზაცკი, ფანცულაია (ვაწაძე 78), მამუჩაშვილი, ალთუნაშვილი, კობახიძე, რადინი (ჯიღაური 46), ღუდუშაური (ზარია 88), ჩაბრაძე (ნავალოვსკი 78), ფლამარიონი (ფალავანდიშვილი 81)

ბათუმელებმა მეორე ტაიმში გატეხეს მასპინძლები. 70-ე წუთზე პაატა ღუდუშაურმა საშუალო მანძილიდან დარტყმით გახსნა ანგარიში, ხოლო 5 წუთში ჯოვინო ფლამარიონმა შორიდან გაიტანა...

სხვათა შორის, ეს ღუდუშაურის პირველი გოლია ბათუმელთა მაისურით, ხოლო ფლამარიონმა მიმდინარე ლიგაში მე-18 ბურთი გაიტანა და ბომბარდირთა დავაში ლიდერობა გაიმყარა: 5 გოლით უსწრებს სამგურალის ფორვარდ ირაკლი რუხაძეს.

დინამო ბათუმი ამ მომენტისთვის ლიდერია, ერთი ქულით უსწრებს დინამო თბილისს, რომელსაც ამ ტურში სათამაშო აქვს, თელავი კი მეშვიდეზეა.

**სამგურალი-ტორპედო 2:2**

**წყალტუბო. 26 მაისი**

0:1 შერგელაშვილი (17), 1:1, 2:1 ნიქაბაძე (45, 59), 2:2 ცინცაძე (86პ)

**სამგურალი:** შოვნაძე, ი.ახვლედიანი (გავაშელიშვილი 83), პატარკაციშვილი, გილმორი, მაისაშვილი (ქურდაძე 75), რუხაძე, კალანდარიშვილი, შ.ბურჯანაძე, კიკაბიძე, ნიქაბაძე (ს.კუხიანიძე 75), ჯერალდო (სიმდიანკინი 90)

**ტორპედო:** კვასხვაძე, მონტეირო, ნადარაია, გიგაური, გ.კუხიანიძე (ცინცაძე 75), შულაია (არაბიძე 75), მანჯგალაძე, ბუღრიძე (თ.ახვლედიანი 66), მჭედლიშვილი, შერგელაშვილი, კაბალიერო (მჭედლიძე 75)

მაყურებელმა საინტერესო და დაძაბული მატჩი იხილა. შეხვედრის მიმდინარეობისას სიტუაცია რამდენჯერმე შეიცვალა: ანგარიში სტუმრებმა მე-17 წუთზე ლამაზი გოლით გახსნეს – ლაშა შერგელაშვილმა ჯარიმა შორიდან დაარტყა და ლევან შოვნაძემ გუნდის გადარჩენა ვეღარ შეძლო.

მასპინძლებმა წონასწორობა პირველი ტაიმის პირველ დამატებით წუთზე აღადგინეს – გიორგი ნიქაბაძემ ახლოდან ძლიერად დაარტყა და გუნდი გასახდელში კარგ ხასიათზე გაიყვანა.

გუნება-განწყობა ნიქაბაძეს ანტრაქტის შემდეგაც გაჰყვა და სამგურალის ცენტრფორვარდმა დუბლი 59-ე წუთზე შეასრულა, როცა საჯარიმოში ჯერ ცოტნე ნადარაიას აჯობა და ბურთი ცხრიანში შეაგდო.

ტორპედომ ანგარიში 86-ე წუთზე გაათანაბრა – მთავარმა არბიტრმა გიორგი ყრუაშვილმა



VAR-ზე გადამოწმების შემდეგ წყალტუბოელთა კარში პენალტი დანიშნა, რომელიც ზუსტად მათე ცინცაძემ შეასრულა.

სამგურალს მატჩის მოგებაც შეეძლო, მაგრამ ბოლო წამებზე ქუთაისელთა გამოცდილმა მეკარე როინ კვასხვაძემ ნიკიტა სიმდიანკინს არ გაატანინა.

**საბურთალო-დილა 0:2**

**რუსთავი. სფფ-ს ტექნიკური ცენტრი**

0:1 გეილი (7), 0:2 ძოწენიძე (17)

**საბურთალო:** ქურდაძე, მამაცაშვილი, შ.ნონიკაშვილი (პარუნაშვილი 30), ი.ტაბატაძე, ქარდავა, გოშთელიანი (გულიაშვილი 62), ლ.ნონიკაშვილი (გ.მამაგეიშვილი 67), ჯინჯოლავა, სიხარულიძე, ო.მამაგეიშვილი, ამბროსიძე

**დილა:** კანევცევი (ბულესკირია 16), ჩიტეიშვილი, ჭიჭინაძე, სანტოსი, მოსიაშვილი (ნონდი 70), თ.კაპანაძე (მადინგა 70), გეილი (სპანდერაშვილი 62), გომისი (გაფრინდაშვილი 70), ვიქტორი, ძოწენიძე, სილვა

ამ გუნდების მატჩი იმითიც იყო გამორჩეული, რომ ორივე მათგანი ევროსაგზურისთვის იბრძოდა. თუმცა, 90 წუთის შემდეგ საბურთალო ამ ბრძოლას ჩამოშორდა.

დილამ კარგი მატჩი ჩაატარა. მომენტები მაქსიმალურად გამოიყენა და მნიშვნელოვანი სამი ქულა მიითვალა. დარჩენილი კალენდრის მიხედვით, დილას კარგი შანსი აქვს, ევროსაგზური მოიპოვოს.

**გაგრა-სიონი 2:1**

**თბილისი. დინამო არენა**

1:0 მაქაცარია (45), 2:0 ლომთაძე (48), 2:1 ნ.ხორხელი (58)

**გაგრა:** ვორობეი, ნოზაძე, სეხნიაშვილი, შონია (ხაბელაშვილი 75), სულთანიშვილი, ქობულაძე, შეწირული, ლომთაძე (დაფე 86), ფარულავა (ოურუ 75), ლომინაძე, მაქაცარია (ბა 90)

**სიონი:** ისიანი, ბექაური, კარვალიუ, ლ.ხორხელი, ნ.ხორხელი, დოობი, ფოცხვერია, ნემსაძე, კიკალიშვილი (ქოჩაკიძე 84), დუმბია (გნაბუიუ 46), ზურაბიანი

**გაძევება:** ლომინაძე (34), ზურაბიანი (64)

გუნდებს ამ ტურამდე თანაბარი ქულები ჰქონდათ და 8-9 ადგილზე იყვნენ. გაგრამ 2:1 მოუგო უშუალო მეტოქეს და უკეთეს მდგომარეობაში ჩადგნენ.

არადა, 34-ე წუთზე გაგრა 10 კაცით დარჩა. არბიტრმა ბაკურ ნინუამ ნოდარ ლომინაძე VAR-ის მეშვეობით გააძევა.

სწორედ კაცნაკლულმა გაგრამ მოახერხა ორივე გოლის გატანა. პირველი ტაიმის ბოლოს თამაზ მაქაცარიამ თავურით გახსნა ანგარიში. მეორე ნახევრის დასაწყისში კი გიორგი ქობულაძის პასს მოჰყვა გიორგი ლომთაძის გოლი...

სიონმა 54-ე წუთზე ერთი ბურთით შეამცირა სხვაობა: ნიკა ხორხელმა მიმდინარე სეზონში მეცხრე ბურთი გაიტანა. საინტერესოა, რომ ამ ცხრიდან ოთხი სწორედ გაგრას გაუტანა.

68-ე წუთზე 10 კაცით უკვე სიონი დარჩა – დავით ზურაბიანმა მეორე გაფრთხილება მიიღო. თუმცა, მატჩის ბოლომდე არაფერი შეცვლილა...

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 33 | 23 | 6 | 4 | 69-26 | 75 |
| 2.დინამო (ბთ) | 33 | 22 | 7 | 4 | 80-29 | 73 |
| 3.სამგურალი | 33 | 14 | 11 | 8 | 52-39 | 53 |
| 4.დილა | 33 | 15 | 7 | 11 | 43-34 | 52 |
| 5.ტორპედო | 33 | 14 | 8 | 11 | 43-45 | 50 |
| 6.საბურთალო | 33 | 12 | 8 | 13 | 50-47 | 44 |
| 7.თელავი | 33 | 7 | 13 | 13 | 26-34 | 34 |
| 8.გაგრა | 33 | 8 | 9 | 16 | 33-51 | 33 |
| 9.სიონი | 33 | 6 | 12 | 15 | 32-55 | 30 |
| 10.ლოკომოტივი | 33 | 1 | 5 | 27 | 26-94 | 8 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა



# განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებით გთავაზობთ პარაფსიქოლოგის მომსახურებას – გაუმართლებლობა, ქალის ბედის გახსნა, მტრის ჩამოშორება, შებოჭილობა, დეპრესია, კოშმარული სიზმრები, პიროვნებებს შორის აგრესიები, მოღალატე ქმრის მორჯულება, ეჭვიანობა, თვითმკვლელობის სურვილი, პათოლოგიური სიმთვრალე და კიდევ მრავალი პრობლემის მოგვარება, შესაძლებელია პაციენტის გარეშეც. ფოტოსურათი აუცილებელია. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება წინასწარი ჩაწერით.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორმალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

# ილიას ზუროსის გუნდი ისლანდიაში შეიკრიბება



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრებს მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო მატჩები ელის. ილიას ზუროსის გაწვრთნილი ჩვენი გუნდისთვის მომავალი თამაშები უაღრესად მნიშვნელოვანია – განსაკუთრებით, შეხვედრა ისლანდიასთან, რომელიც ჩვენი უშუალო კონკურენტია მსოფლიოს ჩემპიონატზე გასვლისთვის ბრძოლაში.

საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრას სწორედ ისლანდიასთან გამართავს. მატჩი რეიკიავიკში 11 ნოემბერს, თბილისის დროით 23:30 საათზე დაიწყება.

ნაკრები ისლანდიიდან ჩარტერული რეისით მატჩის შემდეგ გამოემგზავრება, რათა თბილისში იტალიასთან 14 ნოემბერს დაგეგმილი მატჩისთვის მოემზადოს. ესპანეთთან ერთად ჩვენი ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერი იტალია „თბილისი არენაზე" ილიას ზუროსის გუნდს 14 ნოემბერს, 19:00 საათზე დაუპირისპირდება.

მომავალი მატჩებისთვის მოსამზადებლად საქართველოს ეროვნული გუნდი ისლანდიაში ამ დილით არასრული შემადგენლობით შეიკრიბებოდა, სადაც ნაკრების წევრები იმ ქვეყნებიდან ჩავიდოდნენ, სადაც თამაშობენ.

ჩვენი გუნდი რეიკიავიკში 4 დღის განმავლობაში ივარჯიშებს, ხოლო 11 ნოემბერს ისლანდიას დაუპირისპირდება, რომელსაც საქართველოზე 1 მოგებით მეტი აქვს და ყველაფერი იქით მიდის, რომ ჩვენი ჯგუფიდან მსოფლიოს ჩემპიონატის მე-3 საგზურს სწორედ ამ ორი გუნდიდან ერთ-ერთი მიიღებს. დიდი ალბათობით, მსოფლიოს ჩემპიონატის საგზურებს მოიპოვებენ ამჟამად ჯგუფის 1-2 ადგილებზე თანაბარი ქულებით მყოფი ევროპისა და მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი და იტალია.

სასიხარულოა, რომ ისლანდიაში საქართველოს ნაკრებს თორნიკე შენგელია დაეხმარება, რომელმაც მსოფლიო საკვალიფიკაციოს წინა ფანჯრის დროს, 24 აგვისტოს, ჰოლანდიასთან მატჩში მხრის ტრავმა მიიღო და მწყობრში ამ დღეებში ჩადგა. შენგელია ნაკრებს რეიკიავიკში 10 ნოემბერს შეუერთდება. ორი დღით ადრე, 8 ნოემბერს, ჩავლენ ისლანდიაში ესპანეთში მოთამაშე ჩვენი ნაკრების წევრები – გიორგი შერმადინი და თად მაკფადენი.

იმ 12 კალათბურთელს, რომლებიც 11 ნოემბერს ისლანდიას დაუპირისპირდებიან, ილიას ზუროსი თამაშის წინა დღეს დაასახელებს.

**ზუროსი ისლანდიაში სულ 14 კალათბურთელით ჩავიდა:**

რატი ანდრონიკაშვილი, გივი ბაქრაძე, ბექა ბექაური, მიხეილ ბერიშვილი, მერაბ ბოქოლიშვილი, კახა ჯინჭარაძე, გიორგი კორსანტია, ილია ლონდარიძე, თად მაკფადენი, ალექსანდრე ფევაძე, დუდა სანაძე, თორნიკე შენგელია, გიორგი შერმადინი, გიორგი ცინცაძე.

# საქართველოს ნაკრები ავსტრიასთან მატჩისთვის ემზადება



საქართველოს ფუტსალის ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის მეინ რაუნდის მესამე მატჩს თბილისში გამართავს. ავთანდილ ასათიანის გუნდი სპორტის სასახლეში ავსტრიას დაუპირისპირდება.

ამ გუნდებს შორის პირველი დაპირისპირება ჩვენმა გუნდმა ვენაში 6:2 მოიგო და ამ დროისთვის ჯგუფს 6 ქულით ლიდერობს.

ავთანდილ ასათიანის გუნდმა მატჩისთვის მოსამზადებელ ეტაპი 5 ნოემბერს დაიწყო, ხოლო მატჩის წინა დღეს ღია ვარჯიშს გამართავს.

**საქართველოს ფუტსალის ნაკრების შემადგენლობა ასეთია:**

**მეკარეები:** ზვიად კუპატაძე (გაზპრომ-იუგრა, რუსეთი), თორნიკე ბუკია (კსუ), ალექსანდრე ჯამბურია (ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი);

**წინა ხაზი:** ირაკლი თოდუა, გიორგი ქურდაძე, ვახტანგ კეკელია, ნუკრი ჭუმბურიძე (ყველა ნიუ ვიჟენ ჯორჯიანსი), არჩილ სებისკვერაძე (გომელი, ბელარუსი), ნიკა ხარატიშვილი (კსუ), გიორგი ლავთაძე (ტიუმენი, რუსეთი), ბინიო (ოსასუნა, ესპანეთი), რონინიო (ანდერლეხტი, ბელგია), თალესი (ალ-იარმუკი, ქუვეითი), ბრუნო პეტრი (ნავარა, ესპანეთი), ფერნანდო დრასლერი (ბეტისი, ესპანეთი), შაგინია (მალიორკა, ესპანეთი).

საქართველო-ავსტრიის მატჩი 9 ნოემბერს, 19 საათზე დაიწყება. მატჩზე დასწრება თავისუფალია.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

# შედეგები

## 5 ნოემბერი

### ფეხბურთი

**ინგლისის პრემიერლიგა**

ვულვზი-ბრაიტონი ...... 2:3
ლიდსი-ბორნმუთი ...... 4:3
სიტი-ფულემი ...... 2:1
ნოტინგემი-ბრენტფორდი ...... 2:2
ევერტონი-ლესტერი ...... 0:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.სიტი | 13 | 10 | 2 | 1 | 39-12 | 32 |
| 2.არსენალი | 12 | 10 | 1 | 1 | 30-11 | 31 |
| 3.ტოტენჰემი | 13 | 8 | 2 | 3 | 26-16 | 26 |
| 4.ნიუკასლი | 13 | 6 | 6 | 1 | 24-10 | 24 |
| 5.მანჩესტერი | 12 | 7 | 2 | 3 | 17-16 | 23 |
| 6.ბრაიტონი | 13 | 6 | 3 | 4 | 22-17 | 21 |
| 7.ჩელსი | 12 | 6 | 3 | 3 | 17-15 | 21 |
| 8.ფულემი | 14 | 5 | 4 | 5 | 23-24 | 19 |
| 9.ლივერპული | 12 | 4 | 4 | 4 | 23-15 | 16 |
| 10.ბრენტფორდი | 14 | 3 | 7 | 4 | 21-24 | 16 |
| 11.კრ.პალასი | 12 | 4 | 4 | 4 | 13-16 | 16 |
| 12.ლიდსი | 13 | 4 | 3 | 6 | 19-22 | 15 |
| 13.ლესტერი | 14 | 4 | 2 | 8 | 23-25 | 14 |
| 14.ვესტ ჰემი | 13 | 4 | 2 | 7 | 11-13 | 14 |
| 15.ევერტონი | 14 | 3 | 5 | 6 | 11-14 | 14 |
| 16.ბორნმუთი | 14 | 3 | 4 | 7 | 15-32 | 13 |
| 17.ასტონ ვილა | 13 | 3 | 3 | 7 | 11-20 | 12 |
| 18.საუთჰემპტონი | 13 | 3 | 3 | 7 | 11-20 | 12 |
| 19.ვულვზი | 14 | 2 | 4 | 8 | 8-22 | 10 |
| 20.ნოტინგემი | 14 | 2 | 4 | 8 | 10-30 | 10 |

**ინგლისი. ჩემპიონლიგა**

შეფილდი-ბარნლი ...... 5:2
ბლექბერნი-ჰადერსფილდი ...... 1:0
ბლექპული-ლუტონი ...... 0:1
ქპრ-ვესტ ბრომვიჩი ...... 0:1
მიდლსბრო-ბრისტოლი ...... 1:1
მილუოლი-ჰალი ...... 0:0
როტერჰემი-ნორვიჩი ...... 1:2
სანდერლენდი-კარდიფი ...... 0:1
სტოკი-ბირმინგემი ...... 1:2
სუონსი-უიგანი ...... 2:2
უოტფორდი-ქოვენთრი ...... 0:1

**გერმანია. ბუნდესლიგა**

აუგსბურგი-აინტრახტი ...... 1:2
დორტმუნდი-ბოხუმი ...... 3:0
ჰერტა-ბაიერნი ...... 2:3
მაინცი-ვოლფსბურგი ...... 0:3
ჰოფენჰაიმი-ლაიფციგი ...... 1:3
ვერდერი-შალკე ...... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბაიერნი | 13 | 8 | 4 | 1 | 41-12 | 28 |
| 2.უნიონი | 12 | 8 | 2 | 2 | 21-9 | 26 |
| 3.დორტმუნდი | 13 | 8 | 1 | 4 | 23-15 | 25 |
| 4.ფრაიბურგი | 12 | 7 | 3 | 2 | 18-13 | 24 |
| 5.აინტრახტი | 13 | 7 | 2 | 4 | 27-21 | 23 |
| 6.ლაიფციგი | 13 | 6 | 4 | 3 | 25-19 | 22 |
| 7.ვერდერი | 13 | 6 | 3 | 4 | 23-19 | 21 |
| 8.გლადბახი | 13 | 5 | 4 | 4 | 23-20 | 19 |
| 9.ჰოფენჰაიმი | 13 | 5 | 3 | 5 | 19-16 | 18 |
| 10.მაინცი | 13 | 5 | 3 | 5 | 18-22 | 18 |
| 11.ვოლფსბურგი | 13 | 4 | 5 | 4 | 20-19 | 17 |
| 12.კიოლნი | 12 | 4 | 5 | 3 | 20-23 | 17 |
| 13.აუგსბურგი | 13 | 4 | 2 | 7 | 16-23 | 14 |
| 14.ჰერტა | 13 | 2 | 5 | 6 | 16-20 | 11 |
| 15.შტუტგარტი | 13 | 2 | 5 | 6 | 16-24 | 11 |
| 16.ლევერკუზენი | 12 | 2 | 3 | 7 | 16-25 | 9 |
| 17.ბოხუმი | 13 | 2 | 1 | 10 | 11-35 | 7 |
| 18.შალკე | 13 | 1 | 3 | 9 | 12-30 | 6 |

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

კარლსრუე-კილი ...... 1:4
ფორტუნა-ზ.პაული ...... 1:0
ჰაიდენჰაიმი-პადერბორნი ...... 3:0
არმინია-კაიზერი ...... 2:3

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ხეტაფე-კადისი ...... 0:0
ვალიადოლიდი-ელჩე ...... 2:1
სელტა-ოსასუნა ...... 1:2
ბარსელონა-ალმერია ...... 2:0

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 13 | 11 | 1 | 1 | 31-4 | 34 |
| 2.რეალი | 12 | 10 | 2 | 0 | 29-10 | 32 |
| 3.ატლეტიკო | 12 | 7 | 2 | 3 | 20-12 | 23 |
| 4.ბეტისი | 12 | 7 | 2 | 3 | 16-8 | 23 |
| 5.ოსასუნა | 13 | 7 | 2 | 4 | 15-12 | 23 |
| 6.სოსიედადი | 12 | 7 | 1 | 4 | 16-15 | 22 |
| 7.ბილბაო | 13 | 6 | 3 | 4 | 21-14 | 21 |
| 8.ვილიარეალი | 12 | 5 | 3 | 4 | 14-8 | 18 |
| 9.რაიო | 12 | 5 | 3 | 4 | 17-14 | 18 |
| 10.ვალიადოლიდი | 13 | 5 | 2 | 6 | 13-18 | 17 |
| 11.ვალენსია | 12 | 4 | 3 | 5 | 18-14 | 15 |
| 12.ხეტაფე | 13 | 3 | 5 | 5 | 12-19 | 14 |
| 13.მალიორკა | 12 | 3 | 4 | 5 | 10-13 | 13 |
| 14.ალმერია | 13 | 4 | 1 | 8 | 15-22 | 13 |
| 15.ხირონა | 13 | 3 | 4 | 6 | 18-21 | 13 |
| 16.სელტა | 13 | 3 | 2 | 8 | 14-26 | 11 |
| 17.ესპანიოლი | 12 | 2 | 5 | 5 | 15-20 | 11 |
| 18.კადისი | 13 | 2 | 5 | 6 | 8-24 | 11 |
| 19.სევილია | 12 | 2 | 4 | 6 | 11-19 | 10 |
| 20.ელჩე | 13 | 0 | 4 | 9 | 9-29 | 4 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

ბურგოსი-ტენერიფე ...... 0:1
ანდორა-რასინგი ...... 0:1
უესკა-ვილიარეალი ბ ...... 1:0
ლეგანესი-პონფერადინა ...... 2:1

**იტალია. სერია ა**

სალერნიტანა-კრემონეზე ...... 2:2
ემპოლი-სასუოლო ...... 1:0
ატალანტა-ნაპოლი ...... 1:2
მილანი-სპეცია ...... 2:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ნაპოლი | 13 | 11 | 2 | 0 | 32-10 | 35 |
| 2.მილანი | 13 | 9 | 2 | 2 | 27-14 | 29 |
| 3.ატალანტა | 13 | 8 | 3 | 2 | 19-10 | 27 |
| 4.რომა | 12 | 8 | 1 | 3 | 16-11 | 25 |
| 5.ლაციო | 12 | 7 | 3 | 2 | 24-8 | 24 |
| 6.ინტერი | 12 | 8 | 0 | 4 | 25-17 | 24 |
| 7.უდინეზე | 13 | 6 | 5 | 2 | 21-13 | 23 |
| 8.იუვენტუსი | 12 | 6 | 4 | 2 | 18-7 | 22 |
| 9.სალერნიტანა | 13 | 4 | 5 | 4 | 18-19 | 17 |
| 10.ტორინო | 12 | 5 | 2 | 5 | 12-14 | 17 |
| 11.სასუოლო | 13 | 4 | 3 | 6 | 14-18 | 15 |
| 12.ემპოლი | 13 | 3 | 5 | 5 | 10-17 | 14 |
| 13.ბოლონია | 12 | 3 | 4 | 5 | 14-18 | 13 |
| 14.ფიორენტინა | 12 | 3 | 4 | 5 | 13-17 | 13 |
| 15.მონცა | 12 | 3 | 1 | 8 | 11-21 | 10 |
| 16.ლეჩე | 13 | 1 | 6 | 6 | 10-16 | 9 |
| 17.სპეცია | 13 | 2 | 3 | 8 | 11-24 | 9 |
| 18.სამპდორია | 12 | 1 | 3 | 8 | 6-21 | 6 |
| 19.კრემონეზე | 13 | 0 | 6 | 7 | 11-24 | 6 |
| 20.ვერონა | 12 | 1 | 2 | 9 | 11-24 | 5 |

**იტალია. სერია ბ**

ბენევენტო-ბარი ...... 1:1
ბრეშა-ასკოლი ...... 1:1
ზიუდტიროლი-კალიარი ...... 2:2
პიზა-კოზენცა ...... 3:1
ტერნანა-სპალი ...... 0:0
ჩიტადელა-მონცა ...... 0:0
პალერმო-პარმა ...... 1:0
ფროზინონე-პერუჯა ...... 1:0

**საფრანგეთი. ლიგა 1**

აიაჩო-სტრასბური ...... 4:2
ანჟე-ლანსი ...... 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 13 | 11 | 2 | 0 | 36-8 | 35 |
| 2.ლანსი | 14 | 10 | 3 | 1 | 24-9 | 33 |
| 3.ლორიანი | 13 | 8 | 3 | 2 | 24-18 | 27 |
| 4.რენი | 13 | 8 | 3 | 2 | 28-12 | 27 |
| 5.მარსელი | 13 | 7 | 3 | 3 | 22-11 | 24 |
| 6.მონაკო | 13 | 7 | 3 | 3 | 25-18 | 24 |
| 7.ლილი | 13 | 7 | 1 | 5 | 25-22 | 22 |
| 8.ლიონი | 13 | 6 | 2 | 5 | 21-16 | 20 |
| 9.კლერმონი | 13 | 5 | 3 | 5 | 17-20 | 18 |
| 10.ნიცა | 13 | 4 | 4 | 5 | 13-16 | 16 |
| 11.ტულუზა | 13 | 4 | 4 | 5 | 19-23 | 16 |
| 12.ტრუა | 14 | 3 | 5 | 6 | 25-29 | 14 |
| 13.ოსერი | 14 | 3 | 4 | 7 | 14-26 | 13 |
| 14.რეიმსი | 13 | 2 | 7 | 4 | 14-20 | 13 |
| 15.მონპელიე | 13 | 4 | 0 | 9 | 22-27 | 12 |
| 16.ნანტი | 13 | 2 | 6 | 5 | 15-21 | 12 |
| 17.აიაჩო | 14 | 5 | 2 | 9 | 11-22 | 11 |
| 18.სტრასბური | 14 | 1 | 7 | 6 | 17-26 | 10 |
| 19.ბრესტი | 13 | 2 | 4 | 7 | 14-26 | 10 |
| 20.ანჟე | 14 | 2 | 2 | 10 | 15-33 | 8 |

**საფრანგეთი. ლიგა 2**

ნიმი-ბორდო ...... 1:0
ანსი-სოშო ...... 2:1
ვალანსიენი-კაენი ...... 1:1
დიჟონი-გენგამი ...... 1:1
კევიი-ლე ავრი ...... 0:1
ლავალი-ნიორი ...... 2:1
პო-ამიენი ...... 2:1
როდეზი-გრენობლი ...... 0:1
ბასტია-პარიზი ...... 0:1

**ნიდერლანდები. ეიდივიზიონი**

ვიტესი-სპარტა ...... 0:4
სიტარდი-ემენი ...... 0:1
ექსელსიორი-ჰერენვენი ...... 0:1

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ვიზუელა-აროუკა ...... 0:1
პორტუ-ფერეირა ...... 4:0
სპორტინგი-გიმარაეში ...... 3:0

**ბელგია. ა დივიზიონი**

მეხელენი-ვარეგემი ...... 2:2
სერენი-სტ.ტრუიდენი ...... 1:2
სერკლი-ლეუვენი ...... 2:1
ეუპენი-სტანდარდი ...... 2:0

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ვოლფსბერგერი-ზალცბურგი ...... 1:2
რიდი-კლაგენფურტი ...... 2:2
ჰარტბერგი-ლუშტენაუ ...... 1:1

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

როსი-სტ.მირენი ...... 3:2
სელტიკი-დ.იუნიტედი ...... 4:2

**თურქეთი. სუპერლიგა**

გირესუნი-ისნთანბული ...... 3:2
გალათასარაი-ბეშიქთაში ...... 2:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლამია-ვოლოსი ...... 2:2
ოფი-იონიკოსი ...... 0:2
ატრომიტოსი-არისი ...... 0:0
პაოკი-იანინა ...... 2:0

**შვეიცარია. სუპერლიგა**

სტ.გალენი-გრასჰოპერსი ...... 2:1
ლუცერნი-ვინთენთური ...... 1:1

**ჩეხეთი. 1 ლიგა**

ბოჰემიანსი 1905-ზლინი ...... 3:2
ჩესკე-ბრნო ...... 3:2
სიგმა-იაბლონეცი ...... 3:0
პლზენი-სპარტა ...... 0:1

**პოლონეთი. ექსტრაკლასა**

პიასტი-ვარტა ...... 0:2
კრაკოვია-იაგელონია ...... 1:0
პოგონი-გურნიკი ...... 1:4
ჩენსტოხოვა-პლოცკი ...... 7:1

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ოლექსანდრია-კოლოსი ...... 4:1
ზორია-მეტალისტი ...... 3:2
მეტალისტი 1925-ვერესი ...... 1:4
შახტარი-ინგულეცი ...... 3:0

**სახალხო მკურნალ ლამარა თოდუას „მადლიერების წიგნი" ათასი მორჩენილი პაციენტის სამადლობელ წერილს ინახავს.**

თოდუების საგვარეულო მეთოდით დამზადებული წამლები საუკუნეს ითვლის.

როგორც ლამარა თოდუა ამბობს, ნებისმიერი დაავადების განკურნებისთვის საჭიროა ორგანიზმის გაწმენდა. ორკვირიანი პროცედურით გაგეწმინდებათ ორგანიზმი. ყველა ნაყენი მხოლოდ ეკოლოგიურად სუფთა, საგულდაგულოდ შეგროვილი მცენარეებით მზადდება.

ქალბატონი ლამარას მიერ მომზადებული მალამოები და ნილბები კანს სრულ ელასტიკურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს, სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევისა და ლაქების გარეშე.

თოდუების ცნობილი წამლები უამრავ დაავადებას კურნავს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას; 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას"); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებსა და დახეთქილ ქუსლებს; 20. ბუასილს.**

**მისამართი: საბურთალო, ოთარ ჭილაძის 166. მე-10 კორპუსი. ტელ.: 599-16-10-82, 593-99-62-52**

**სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე**

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ჩრდილო აფრიკაში მცხოვრები არაბების ძველი სახელწოდება; 2. წაგრძელებული, უგუმბათო ტაძარი; 3. უდიდესი გადახრა წონასწორობის მდგომარეობიდან; 4. კუთხე საქართველოში; 5. საკანონმდებლო ორგანო; 10. ევროსაბჭოს პრეზიდენტი; 11. ნეფე-დედოფლის თანმხლები პირები ქორწილში; 12. გერმანული ჟურნალი; 13. გემის სამზარეულო; 16. პირველი იტალიელი ასტრონავტი; 17. კომედიური ჟანრის მუსიკალურ-თეატრალური წარმოდგენა; 19. ევროპელ ებრაელთა საერთო სახელწოდება; 21. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 23. სამონასტრო კომპლექსი გორის რაიონში.

**თარაზულად:** 6. ტბა საქართველოში; 7. ძუნწი, ძალზე ხელმომჭირნე ადამიანი; 8. მოკლემეტრაჟიანი კინოფილმების საერთაშორისო ფესტივალი საქართველოში; 9. ჯუზეპე ვერდის ოპერა; 14. გრიგოლ აბაშიძის რომანი; 15. რომან „დათა თუთაშხიას" ავტორი; 18. სახელმწიფო ევროპაში; 20. ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 22. ძვირფასი თვლებით შემკული ქალის გვირგვინი; 24. ცნობილი ქართველი ინფექციონისტი; 25. მდინარე ბოლნისში; 26. კულინარიაში გამოყენებული სურნელოვანი ნაყოფის მქონე ტროპიკული მცენარე.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პორტერი; 2. საკვოიაჟი; 3. სკრეპერი; 4. დამიანე; 5. ფაზისი; 9. როლერი; 11. ჯანდარა; 12. ტაბიძე; 14. ბაიკერი; 18. ოდინი; 19. მედეა.

**თარაზულად:** 4. დიჟონი; 5. ფელამუში; 6. რკინა; 7. ომმეტრი; 8. ქვევრი; 10. მენჯი; 13. რებუსი; 15. იტალია; 16. რადა; 17. პესო; 20. კუვეზი; 21. ტეკილა; 22. ზანდური; 23. ესკიმო.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. ფერხული; 2. საფიხვნო; 3. ალოტროპია; 4. ფეოდალი; 5. დეპორტაცია; 10. ბორანი; 11. ფეხბურთი; 12. იმერეთი; 13. დიზაჟიო; 16. პარამეტრი; 17. ჯაყელები; 19. ალტიტუდა; 21. შტატი; 23. პუნში.

**თარაზულად:** 6. თედიაშვილი; 7. მერჩულე; 8. კულუხი; 9. ერდოღანი; 14. დილიჟანი; 15. პრეამბულა; 18. კათხა; 20. პარტერი; 22. კოპტები; 23. სტრიპი; 25. სტატისტი; 26. ტოშიბა.

# ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


7 ნოემბერი

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.7419

ევრო — 2.6838

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.0761

100 რუსული რუბლი — 4.4104

## ამინდის პროგნოზი 7 ნოემბრისათვის




## პენსიონერებმა კენგურუ ზვიგენებით სავსე არხიდან კუდით ამოათრიეს



ავსტრალიის კვინსლენდის შტატის სანშაინ-კოსტოს რეგიონში პენსიონერების წყვილმა კენგურუ გადაარჩინა, რომელიც ზვიგენებით სავსე არხიდან დამოუკიდებლად თავის დაღწევას ვერ ახერხებდა.

70 წლის ენი და 72 წლის კრის ეიტკენები ცხოველის დასახმარებლად მას შემდეგ გაეშურნენ, როდესაც მეზობელმა დევიდ კასტრომ მათ უთხრა, რომ ახალგაზრდა კენგურუ მისი ბაღის მახლობლად მდებარე არხში იმყოფებოდა და იქიდან თავის დაღწევას ვერ ახერხებდა. ამ შემთხვევის ამსახველ ვიდეოში ჩანს, თუ როგორ ცდილობენ კაიაკში მჯდომი პენსიონერები, თოკი შემოახვიონ წყალში მყოფ კენგურუს, რათა მისი დახმარებით არხის მეორე მხარეს გადაიყვანონ, მაგრამ ცხოველი მათ ხელიდან უსხლტება და კვლავ იმ ადგილისკენ მიცურავს, რომლის ნაპირზე მაღალი ღობეა აღმართული. ბოლოს და ბოლოს, ენიმ ცხოველს კუდში სტაცა ხელი და სანამ კრისი ნაპირისკენ უსვამდა ნიჩბებს, ასე აკავებდა ის კენგურუს.

ასე მოახერხეს პენსიონერებმა ცხოველის ნაპირზე ამოყვანა და გაუშვეს. ენის თქმით, ყოველთვის სასიამოვნოა ვინმეს გადარჩენა, ხოლო ამ შემთხვევაში კიდევ უფრო სასიხარულო იყო, ვინაიდან ეს ყოველივე დიდი ძალისხმევის ფასად დაუჯდათ.

## ნიანგის თავდასხმას ბავშვი ემსხვერპლა



კოსტა-რიკაში თევზაობით გართული მშობლების თვალწინ ნიანგი ბავშვს თავს დაესხა, პირი სტაცა და წყლის სიღრმეში ჩაითრია.

ბავშვი მშობლებთან ერთად ლიმონის პროვინციაში, მდინარე მატინას ნაპირზე ისვენებდა. ბავშვი მდინარის ნაპირის გასწვრივ მიცურავდა, როდესაც მას თავს ნიანგი დაესხა. მტაცებელმა ბიჭს პირი სტაცა და მასთან ერთად წყლის სიღრმეში გაუჩინარდა. ამ დროს მისი მშობლები იქვე ახლოს თევზაობდნენ, მაგრამ ეს ყოველივე ისე სწრაფად მოხდა, რომ ბავშვის გადასარჩენად ვერაფერი იღონეს.

ადგილობრივების თქმით, მდინარეში უამრავი ნიანგი ბინადრობს. წლის ამ დროს კი ისინი უფრო მეტად აგრესიულები ხდებიან. მიმდინარეობს ბავშვის ცხედრის სამძებრო სამუშაოები, მის მშობლებს კი ფსიქოლოგიურ დახმარებას უწევენ.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## თელავში სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“ აღინიშნება



7 ნოემბერს თელავში, მეფე ერეკლეს სასახლისა და ბატონის ციხე-გალავნის ტერიტორიაზე, ტრადიციული სახალხო დღესასწაული „ერეკლეობა“ აღინიშნება.

სახალხო დღესასწაულზე მისულ საზოგადოებას საშუალება ექნება, დაათვალიეროს ისტორიულ-შემეცნებითი კუთხეები, დააგემოვნოს ღვინო და შეფმზარეულების მიერ მომზადებული კერძები, ისიამოვნოს ქართული მრავალხმიანი სიმღერით, ტრადიციული თამაშობებით და დაესწროს საბრძოლო ხელოვნების საჩვენებელ წარმოდგენას. ბავშვებს ტერიტორიაზე სხვადასხვა გასართობი აქტივობა დახვდებათ.

პარალელურად, დღის განმავლობაში თელავში დაგეგმილია სხვადასხვა კულტურული და საგანმანათლებლო ღონისძიება.

სახალხო დღესასწაულს კონცერტი დაასრულებს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## ასტროპროგნოზი



### 7 ნოემბრისათვის

**ვერძი** — მეგობრებთან და პარტნიორებთან ურთიერთობა გეძაბებათ. შედეგი თქვენს კეთილგონიერებაზეა დამოკიდებული. **კურო** — ახლობლებსა და ნათესავებზე ზრუნვა დიდ დროს წაგართმევთ, თუმცა შედეგით კმაყოფილი დარჩებით. **ტყუპები** — ახალი ნაცნობობა საკმაოდ იღბლიანია. შესაძლოა, ჭკვიანური და სასარგებლო რჩევა მიიღოთ. **კირჩხიბი** — ფული კეთილი საქმისთვის გეხარჯებათ. ახლობლებს ნამდვილად გაახარებთ. **ლომი** — თავს ნურავის მოატყუებინებთ. ყურადღება არ მოადუნოთ. საქმიან პარტნიორთან ურთიერთობა გეცვლებათ. **ქალწული** — რთული დღეა. დროა, ფასეულობები საფუძვლიანად გადააფასოთ. მოთმინება და თავშეკავება დიდ სამსახურს გაგიწევთ. **სასწორი** — ჯანმრთელობას მთელი სერიოზულობით მოეკიდეთ. განმარტოება და დასვენება გჭირდებათ. **ღრიანკალი** — ადამიანები, რომლებიც თქვენგან გამუდმებით რაღაცას ითხოვენ, თქვენში აგრესიას გააღვიძებენ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს. **მშვილდოსანი** — ფინანსებს გაუფრთხილდით. ხარჯები გულმოდგინედ აკონტროლეთ. სასიამოვნო ახალ ნაცნობს შეიძენთ. **თხის რქა** — ზედმეტი ფიზიკური დატვირთვა თქვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. კოლეგებთან ურთიერთობაში ბზარი ჩნდება. **მერწყული** — უსიამოვნებები ფსიქიკას დაგიზიანებთ. ერიდეთ აგრესიულ ადამიანებთან ურთიერთობას. **თევზები** — ახალშეძენილ საქმიან პარტნიორებთან კონტაქტი დადებით შედეგს გამოიღებს. ეს დღე თქვენგან პრინციპულობასა და ორგანიზატორულ ნიჭს მოითხოვს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## იუმორი

მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეკითხება:

– პური გაქვთ?

– არა, ეს ხომ აფთიაქია, აქ პურს რა უნდა.

მეორე დღესაც იგივე მეორდება და ასე ზედიზედ რამდენიმე დღე. ბოლოს აფთიაქარმა იფიქრა, ხვალ ის სულელი ისევ მოვა და პურს იკითხავს, მოდი, ავიღებ პურს და, რომ მოვა, მივყიდი, რომ მის სულელურ კითხვებს აღარ ვუპასუხო. თანაც ცოდოა, ეტყობა, ავადმყოფია.

და აი, მეორე დღეს მამაკაცი შედის აფთიაქში და გამყიდველს ეკითხება:

– ძეხვი გაქვთ?

გაოგნებული აფთიაქარი:

– არა, მხოლოდ პური გვაქვს!

– პური ახლა ყველა აფთიაქში აქვთ!

●●●

ორი მეგობარი ზის და ღვინოს სვამს. ამ დროს სამგლოვიარო პროცესიამ ჩაიარა. ერთ-ერთმა ერთ-ერთი ჭირისუფალი მიიხმო და ეკითხება:

– ვინ არის?

– გივია, მთელი ცხოვრება სვამდა, ეწეოდა, ქალებში დადიოდა და...

მეგობრებმა მოიწყინეს. სმას თავი დანებეს. დაახლოებით 20 წუთის შემდეგ მეორე სამგლოვიარო პროცესიამ ჩამოიარა. ისევ მიიხმეს ერთ-ერთი ჭირისუფალი და ეკითხებიან:

– ვინ არის?

– გოგია, მთელი ცხოვრება არც დაულევია, არც მოუწევია, მხოლოდ ცოლთან ცხოვრობდა და...

– ბიჭო, დაასხი, ოცი წუთის დედაც...

●●●

ქალი კაცს ეკითხება:

– იცი, მე რა მინდა?

– ვიცი, ყველაფერი!

– ეს პირველი...

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

## ბახვა ბრეგვაძე თაღლითების მსხვერპლია



მსახიობი და ტელეწამყვანი ბახვა ბრეგვაძე თაღლითების მსხვერპლია:

– პირველად, მაგრამ მეც აღმოვჩნდი თაღლითობის მსხვერპლი. ვიტო კოლელიშვილის ყალბი გვერდით ფულს სთხოვს ადამიანი ხალხს, ვითომ ბავშვის დასახმარებლად! ბავშვის ფოტო რომ გავხსენი, გავვარდი და გადავურიცხე და მერე მივხვდი, რომ გამათაღლითა. ფრთხილად იყავით!

## ვალერი მელაძე თბილისში კონცერტს გამართავს



23 ნოემბერს თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში ვალერი მელაძის გალაკონცერტი გაიმართება. მომღერალი მაყურებლის წინაშე მრავალფეროვანი საკონცერტო პროგრამით წარდგება.

საესტრადო მუსიკის სფეროში ყველაზე ცნობილი ძმები ვალერი და კონსტანტინე მელაძეები ბათუმში დაიბადნენ. პირველადი მუსიკალური განათლება მათ სწორედ ზღვისპირა ქალაქში მიიღეს, უმაღლესი განათლების მისაღებად კი უკრაინაში, ქალაქ ნიკოლაევში გაემგზავრნენ. მრავალმხრივი ნიჭით გამორჩეული ძმები მალე სტუდენტური ანსამბლის წევრები გახდნენ.

ვალერი მელაძემ თავისი განსხვავებული, გამორჩეული ხმითა და საშემსრულებლო მანერით მალე მიიქცია პროდიუსერთა ყურადღება და დიდ შოუბიზნესში დამკვიდრდა.

მრავალწლიანი მუსიკალური კარიერის განმავლობაში მომღერალს 6 ალბომი აქვს გამოშვებული, რომელთაგან პირველს მის მიერ შესრულებული და ჰიტად ქცეული რომანსის „სერას“ სახელი ჰქვია.

ვალერი მელაძის კონცერტები არა მარტო პოსტსაბჭოთა, არამედ მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში ჩატარდება, რაც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს მის პოპულარობას მსმენელში.

მომღერალი არასდროს ივიწყებდა თავის სამშობლოს, ყოველთვის იდგა ქართველი ხალხის გვერდით, როცა ამის აუცილებლობა იყო. ამის დასტურია მისი კონცერტები ბათუმსა და თბილისში.

რუსეთის მიერ უკრაინაში დაწყებული ომის შემდგომ მომღერალმა ღიად გააპროტესტა რუსეთის ქმედება და მეუღლესთან, ალბინა ჯანაბაევასთან ერთად ქვეყანა დატოვა. ვლადიმერ პუტინის მთავრობამ ვალერი მელაძე და მისი ცოლი შავ სიაში შეიყვანა.

## იერუსალიმში ქართულ კულტურულ მემკვიდრეობას მემორიალური დაფა მიუძღვნეს



იერუსალიმში ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ პირველი მემორიალური დაფა გაიხსნა.

**ინფორმაცია ლაშა ჟვანიამ გაავრცელა:**

– ეს არის პირველი მემორიალური დაფა იერუსალიმში ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესახებ და ასევე პირველი ქართულენოვანი წარწერა:

„ეს არის წმინდა მიწაზე აღმოჩენილი პირველი წარწერა, რომელშიც ნახსენებია ქართველი (ივერიელი) და იერუსალიმში ქართველთა, ძლიერი, დამოუკიდებელი თემის მეხუთე საუკუნიდან არსებობის უტყუარ მტკიცებულებას წარმოადგენს. წარწერა ინახება ისრაელის სიძველეთა სამსახურის მუზეუმში. არქეოლოგიური გათხრებისას ასევე აღმოჩნდა ეკლესიის, სამარხების, საწნახლის, ზეთის საწურისა და სამონასტრო ნაგებობების ნაშთები.“

ცნობა ქართველთა მონასტრისა და სამუელ ქართველთა ეპისკოპოსის სამარხის აღმოჩენის შესახებ სამეცნიერო წრეებში 1935 წელს გამოქვეყნებული მასალით გახდა ცნობილი, ხოლო ქართველ საზოგადოებას ამის შესახებ პირველად წმინდა გრიგოლ ფერაძემ ამცნო, რომელმაც იერუსალიმში 1936 წელს იმოგზაურა.

იერუსალიმში ყოფნისას გაიარეთ დავით მეფის ქუჩაზე, სამუელ ეპისკოპოსიც მოიხსენიეთ და მასთან ერთად სხვა წინაპრებიც, რომლებიც ერთ დროს ერთობით იერუსალიმში საქართველოსა და მთლიანად მსოფლიოსთვის დიდ სულიერ და მატერიალურ მემკვიდრეობას ქმნიდნენ.

## „ღამის შოუ“: „ჩვენი შოუს წინააღმდეგ აქტიური ანტიპიარკამპანიაა გაჩაღებული“




იუმორისტული გადაცემა „ღამის შოუ“ მის მიმართ წარმოებულ ანტიპიარკამპანიას სპეციალური განცხადებით ეხმაურება:

– ჩვენი შოუს წინააღმდეგ გაჩაღებულია აქტიური ანტიპიარკამპანია, რომელშიც ჩართულია თითქმის ყველა ოპოზიციური ტელეარხი და სხვა მედიასაშუალებები. ისინი მიზანმიმართულად ამახინჯებენ ფაქტებს. ქუთაისში ნაძვის ხის დადგმასთან ჩვენი გადაცემის არც წამყვანს, არც ბენდის წევრებს, არც ხელმძღვანელსა და საერთოდ „გიორგი გაბუნიას ღამის შოუს“ არც ერთ თანამშრომელს არანაირი კავშირი არა აქვს.

„ღამის შოუს სტუდია“ გახლავთ საერთოდ სხვა ორგანიზაცია, რომელთანაც ჩვენ არა გვაქვს კავშირი. ეს ინფორმაცია მარტივად ხელმისაწვდომია, თუმცა ოპოზიციური მედიასაშუალებები მანიპულირებენ, ცდილობენ, ჩვენ მოგვაწერონ და ვითომდა კორუფციული გარიგებები დაგვდონ ბრალად.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, ცოტა ხნის წინ მათ გაავრცელეს უტიფარი ტყუილი იმის შესახებ, რომ ბაბი კირკიტაძემ ორ სიმღერაში მიიღო 12.000 ლარი. სინამდვილეში, კონცერტი შედგება 20 სიმღერისგან და მასში მონაწილეობას იღებს 13 ადამიანი.

რაც შეეხება მოთხოვნას ჩვენი შოუს კონცერტებთან დაკავშირებით, პირველ რიგში, მოთხოვნა მოდის მაყურებლისგან. აქედან გამომდინარე უჩნდება სურვილი იმ ადამიანს, რომელსაც თავისი რეგიონის მცხოვრებლების გახარება სურს ჩვენი კონცერტებით.

„მოთხოვნადები“ ვართ აგრეთვე ოპოზიციური მედიისთვისაც, რადგან ამდენ დროსა და მცდელობას არ აკლებენ ჩვენს „გაშავებას“ და, სადაც „ღამის შოუს“ ამოიკითხავენ, მხოლოდ ჩვენ გვაკავშირებენ, მიუხედავად იმისა, რომ ყველა არხს საკუთარი „ღამის შოუ“ აქვს. მადლობა, რომ სულ გახსოვართ და, სადაც არა ვართ, იქაც ჩვენ გელანდებით.

ბოლოს გვინდა მივმართოთ ჩვენს გულშემატკივრებს: ჩვენ თქვენთვის ვმუშაობთ, მუხლჩაუხრელად, გულწრფელად და, რაც მთავარია – პატიოსნად. ამას თქვენ გეუბნებით, ჩვენს მაყურებლებს, თორემ, ვინც საპირისპიროს დამტკიცებას ცდილობს, მათ ზუსტად იციან, რომ იტყუებიან.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა




**შვეულად:** 1. სხვადასხვა ოპერიდან აღებული მუსიკალური ნაწყვეტებისგან შექმნილი ძველებური იტალიური ოპერა; 2. ნიდერლანდური ლუდი; 3. ებრაელთა უბანი ძველ თბილისში; 4. მოჩვენებითი მამაცობა; 5. ქართული ხალხური ზღაპარი; 9. მონების ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 11. პატარა თევზსაჭერი გემი; 12. იაპონური მაფია; 14. მოხეტიალე ქართველი მევიოლინე, მომღერალი მამაკაცი; 18. ავი, ანჩხლი დედაკაცი; 19. ნორვეგიელი ენათმეცნიერი, ქართველოლოგი.

**თარაზულად:** 4. დიდი სატრანსპორტო-სამგზავრო გემი; 6. ხელის გამომხატველობითი მოძრაობა; 5. ქართველი მგოსანი; 7. მხატვრის საღებავების შესაზავებელი თხელი დაფა; 8. თევზის საჭერი მოწყობილობა; 10. ტიბეტის ადმინისტრაციული ცენტრი; 13. გურულების, მესხების, აჭარლების ძველებური ჩოხა; 15. ხარებთან ორთაბრძოლა; 16. ემილ ზოლას რომანი; 17. დარიშხანის საბადო ლენტეხის რაიონში; 20. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 21. ინდური კანაფისგან დამზადებული ნარკოტიკი; 22. მსხვილი ფინანსურ-სამრეწველო გაერთიანება; 23. ზოგიერთი მცენარის მიწისქვეშა გამსხვილებული ფესვი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*